ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 დეკემბერი 2003 №239 (2010) | ფასი 50 თეთრი

REUTERS

ამას წინათ, ფიფამ მსოფლიოს 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელობის პრეტენდენტთა სამეული რომ გამოაცხადა, ესპანური „მარკა“ დევიდ ბექემს აზრს დაეკითხა. ინგლისელმა, ანრი უნიჭიერესია, მეგობრებს (რონალდო, ზიდანი) შორის არჩევანის გაკეთება კი მიჭირს, მაგრამ სანაძლეოს ჩამოვალ, საუკეთესო ზიდანი გახდებაო. გახდა კიდეც. მსოფლიოს 142 ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების უმეტესობამ მადრიდის „რეალის“ ფრანგი გენიოსი სხვებს არჩია და 264 ქულით პირველობა არგუნა. ეს ამბავი გუშინ ბაზელში, ფიფას მოწყობილ გალაზე გაცხადდა. იქვე გაირკვა, რომ „არსენალის“ თავდამსხმელ ტიერი ანრის მეორე ადგილი ერგო, ხოლო შარშანდელი გამარჯვებული, ბრაზილიელი რონალდო ამჯერზე მესამეობას იკმარებს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ზიდანი მესამედ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და რონალდოსთან ერთად საზიარო რეკორდის მფლობელი შეიქნა. ზინედინ ზიდანი საუკეთესოდ მიიჩნია ფიფას ვერსიით საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემაც. დიახ, ჩივაძემ და, საქმეს ისეთი პირი ხომ არ უჩანს, 2004 წლის გამოკითხვაში ფიფას ვინძლო, ისევ ჩივაძემ უპასუხოს?!

ფიფას გამოკითხვის 2003 წლის ხუთი რჩეული

1 ზინედინ ზიდანი (რეალი, საფრანგეთი) 264
2 ტიერი ანრი (არსენალი, საფრანგეთი) 186
3 რონალდო (რეალი, ბრაზილია) 176
4 პაველ ნედვედი (იუვენტუსი, ჩეხეთი) 158
5 რობერტო კარლოსი (რეალი, ბრაზილია) 105

ალექსანდრე ჩივაძის სამეული

ზიდანი, ნედვედი, ვან ნისტელროი

სასამართლო ხვალაც მოვა

კიდევ ერთი ციხის ღამე

NBA გვინდა, თორემ მაკე-დონეა



ნუგზარ კანდელაკის „ბასკომ“ დრაჟენ ბრაიკოვიჩს და მის „დინამოს“ ზამთრის ჩემპიონობა აართვა

წლობით შეუკრებელმა საქართველოს ნაკრებმა მომავალი მეტოქეები დაინახა. სანაკრებო ევროპის ფსკერზე დალექილ საქართველოს ეროვნულ გუნდს ბელგრადში გამართულმა კენჭისყრამ პირველ მოწინაალმდეგეებად ლუქსემბურგი, ფინეთი და მაკედონია შეახვედრა. დრაჟენ ბრაიკოვიჩის შეპირებული სუპერნაკრები 2004-05 წლებში ამათ ყველას თუ დაამარცხებს, შემდეგ კიდევ ერთ, ჯერჯერობით ინკოგნიტო მეტოქეს გასცდება, მოიპოვებს ნანატრ უფლებას, 2007 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევში უძლიერეს გუნდებთან ბედი სცადოს. აი, რა მრუდედაა საქმე. პირველი მეტოქეებიდან კი გამოსარჩევია მაკედონია, რომელიც, რაც უნდა იყოს, იუგოსლავიის ნასხლეტია და 1999 წელს ევროპის ფინალშიც უთამაშია.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა, როგორც ყოველთვის, ოპტიმისტურადაა განწყობილი და ტრადიციულად გვპირდება საქართველოში ყველა ლეგიონერის და მათ შორის „ამერიკელების“ ჩამოყვანასაც. აღსანიშნავია, რომ ვოვა სტეფანია სამშობლოში აგერ, მეხუთე წელია, არ ჩამოსულა, ხოლო ნიკა ცქიტიშვილი მესამე.

ამასობაში ნაკრების თავკაცმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა დარტყმა განიცადა „მცირე ფრონტზე“ — საქართველოს პირველობაზე: რეგულარული ჩემპიონატის პირველი ნახევრის ბოლო მატჩში მისმა „დინამომ“ ბათუმში პრინციპული თამაში დათმო მთავარ კონკურენტ „ბასკოსთან“.

მომავალი წლიდან სარბიელი ორშაბათსაც გამოვა

გამორიცხული არ არის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხვალ დროებითი პატიმრობიდან გაათავისუფლონ. მისმა ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა გუშინ საოლქო სასამართლოში კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და ჟორდანიასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა მოითხოვა

ვიდრე ხვალ

მერაბ ჟორდანია კიდევ ერთი სასამართლოს მოლოდინში გაათენებს

მერაბ ჟორდანიას მძიმე მოლოდინი

შეგახსენებთ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს პარასკევს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მერაბ ჟორდანია საბიუჯეტო გადასახადებისგან თავის არიდებაშია ბრალდებული. კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის საბოლოო გამოძიებამდე ჟორდანია შეიძლება მიმალულიყო და სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. პარასკევის პროცესზე მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა ბრალდებულს გირაოს სახით 247 ათასი ლარის 22 საათიდან 8 საათამდე გადახდა შესთავაზა, ანუ იმ თანხის მესამედისა, რასაც ჟორდანიას ედავებიან. ფედერაციის პრეზიდენტი დროის ამ მონაკვეთში 247 ათასის გადახდას ვერ შეძლებდა, თავის მხრივ კი სასამართლოს 150 ათასი შესთავაზა. სონღულაშვილმა ჟორდანიას წინადადება არ მიიღო და სამთვიანი პატიმრობაც შეუფარდა. პრეზიდენტის მხარემ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს გადაწყვეტილება არაობიექტურად მიიჩნია და დაუყოვნებლივ გაასაჩივრა. ზურაბ როსტიაშვილი ამბობს:

„იმ ბრალდებაზე, რაც მერაბ ჟორდანიას აქვს წარდგენილი, კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ უნდა გამოეყენებინა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრების შეფარდება შესაძლებელია მაშინ, როცა პიროვნებას ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაული, ასევე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დაემალება გამოძიებას. სასამართლოს ჟორდანიას დაპატიმრების არც ერთი პირობა არ ჰქონდა. ჟორდანიას წარდგენილი აქვს ბრალი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე, ასევე ჯარიმა 2500 ლარამდე. ასევე კოდექსში შენიშვნის სახითაა ნათქვამი, თუ ბრალდებული სრულად გადაიხდის იმ თანხას, რასაც ედავებიან, მაშინ საერთოდ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. აქედან გამომდინარე, ჟორდანიას მიმართ არ უნდა გამოეყენებინათ აღკვეთის ასეთი ღონისძიება. საოლქო სასამართლოში საჩივარი უკვე შეტანილია და საქმის განხილვა 72 საათში უნდა მოხდეს. ათვლა დაიწყო 15 დეკემბრის 12 საათიდან. ვითხოვთ, რომ გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიება ჟორდანიას მიმართ შეიცვალოს გირაოთი.

რაიონული სასამართლოს მოსამართლე სონღულაშვილმა გირაოდ იმ თანხის მესამედი განსაზღვრა, რასაც მერაბ ჟორდანიას ედავებიან — ეს არის 247 ათასი ლარი. მაშინ ამ თანხის გადახდა ვერ შევძელით. მოვითხოვეთ თანხის 150 ათას ლარამდე შემცირება, მაგრამ სასამართლო არ დაგვეთანხმდა. ვინაიდან სონღულაშვილმა გირაოს თანხად განსაზღვრა 247 ათასი ლარი და დაცვის მხარე თანახმაა ამ თანხის გადახდაზე, აღკვეთის ღონისძიება უნდა შეიცვალოს და ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს“.

მერაბ ჟორდანიას ადვოკატს საოლქო სასამართლოში სარჩელის შეტანისთანავე გავესაუბრეთ. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ჟორდანიას საქმეს მოსამართლე ომარ ჯორბენაძე განიხილავს, სასამართლო პროცესი კი ხვალის 1 საათზეა დანიშნული.

კობა ინასარიძე

ბაირამ თუთუმლუ: თბილისში რომ ჩამოვიდეთ, ვისთან მივიდეთ?! უჟორდანიოდ მიშელი არ გამოვა

მერაბ ჟორდანია პატიმრობაშია, არადა, სწორედ ახლაა საიმისო დრო, რომ ეროვნულ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დაენიშნოს.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატურა საქართველოს უპირველესი გუნდის დამრიგებლის პოსტზე ფრანგი ანრი მიშელი გახლდათ — მოლაპარაკებებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ უძღვებოდა, მაგრამ რა ვითარებაა ჟორდანიას დაკავების შემდეგ? სწორედ ამის გამო დავურეკეთ თუთუმლუს



— თბილისში ანრი მიშელის ჩამოყვანას შეგვპირდით — ახლა როგორ იქნება ეს საქმე?

— ამ დროისთვის ეს მე არ შემიძლია, რადგან მერაბ ჟორდანია ციხეშია.

— და მოლაპარაკებები მიშელთან შეწყვეტილია?

— არა, მოლაპარაკებებს ჟორდანიას დაკავების ფაქტი ხელს არ შეუშლის, მაგრამ ისიცაა, რომ ამ მხრივ წინ ველარ მივდივართ.

— მიუხედავად იმისა, რომ ჟორდანია დაპატიმრებულია, მიშელი მაინც დაიჭერს საქმეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან?

— მე და მიშელი თბილისში რომ ჩამოვიდეთ, ვისთან მივიდეთ? ძალიან ცუდ სიტუაციაში ვართ.

— თუ ჟორდანიას მალე გამოუშვებენ, მერა რა პერსპექტივა აქვს თქვენს მიერ წამოწყებულ საქმეს?

— ჩვენ ახლა მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებას ველოდებით, რათა ვიმოქმედოთ. თუ მერაბს გამოუშვებენ, მიშელის თბილისში ჩამოყვანა პრობლემა არ იქნება. მე სიტყვის კაცი ვარ და დანაპირებს შევასრულებ. თუ მაინც ვერ მოხერხდა მიშელის ჩამოყვანა, მაშინ რომელიმე სხვა, აუცილებლად ცნობილ მწვრთნელს გამოვნახავ თქვენი ნაკრებისთვის.

— მიშელთან თუ გქონდათ საუბარი ჟორდანიას დაპატიმრების თაობაზე?

— ამ ამბავზე მიშელისთვის ახსნა-განმარტებების მიცემას აზრი არ აქვს — ისედაც ცუდი ვითარებაა შექმნილი. ისლა დაგვრჩენია, დავიცადოთ.

დავით თავართქილაძე

ნემსაძე საქართველოში დაბრუნებას აპირებს



„დანდი“ გაკოტრდა და მაინც თამაშობს, თუმცა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე ოდენ ინდივიდუალურად ვარჯიშობს — თამაშს იმიტომ ერიდება, რომ ტრავმა არ მიიღოს და ახალ გუნდში გადასვლაში ხელი არ შეეშალოს. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ნემსაძე თბილისში დაბრუნდება.

— წინა კვირაში ველოდებოდი კონკრეტულ შემოთავაზებებს გუნდებიდან, თუმცა რეალური ჯერ არაფერია. აგენტები მეუბნებიან, შენით დაინტერესებული შოტლანდიური კლუბები კი არიან, მაგრამ ისინი არცთუ კარგ პირობებს გამოდიანო. მოკლედ, მთავარი საკითხი ფულია. სხვათა შორის, ერთი რუსი აგენტიც დამიკავშირდა და რუსულ პრემიერლიგაში თამაში შემომთავაზა, თუმცა ჯერ აქაც გაურკვევლობაა. ერთ კვირას კიდევ მოვიცდი და თუ არაფერი გამოჩნდა, თბილისში ჩამოვალ. საქართველოში ყოფნა ჩემს სამომავლო ტრანსფერს ხელს არანაირად არ შეუშლის. თუ სასურველი კლუბი და პირობები გამოჩნდა, თბილისიდანაც შეიძლება საქმის მოგვარება — გვითხრა გუშინ ნემსაძემ.

დავით თავართქილაძე

ბერძნებმა ძალიან გააჯანჯლეს

თუ ფული არა, მაშ რა?



გიორგი ქინქლაძე, რომელსაც „პანათინაიკოსში“ გადასვლის შანსი აქვს, დღესდღეობით ისევ მანჩესტერშია და ბერძნების ზარს ელის.

ქართველი ფეხბურთელი ერთი კვირით უკვე იმყოფებოდა ათენში და მასპინძლები თავის შესაძლებლობებში დაარწმუნა. „პანათინაიკოსსა“ და ქინქლაძეს შორის ტრანსფერის თაობაზე წინასწარი მოლაპარაკება უკვე შემდგარია, თუმცა ათენიდან წასულ ქინქლაძეს საბერძნეთიდან უკვე ერთი კვირაა, არაფერი სმენია. ფეხბურთელსა და კლუბს შუა აგენტია, რომელიც ფეხბურთელს აიმედებს და...

— აგენტთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. ათენიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ ის რამდენჯერმე შეხვდა „პანათინაიკოსის“ ხელმძღვანელებს და პასუხად ეს მიიღო — ქინქლაძე ძალიან გვჭირდება, ამ დღეებში დავუკავშირდებით. მე კი ახლაც მანჩესტერში ვარ და მათ მიწვევას ველი — გვითხრა გიო ქინქლაძემ — რა ვიცი, როცა ათენში ვიყავი, ვფიქრობ, „პანათინაიკოსს“ მოლოდინი არ გავუცრუე, ამას აგენტიც ადასტურებს, თუმცა ისინი დღემდე პირადად არ დამკავშირებიან.

— გავიგეთ, რომ „პანათინაიკოსი“ დაბალ ხელფასს გთავაზობს, რაზეც ვერ თანხმდებით.

— არა, თანხაზე ლაპარაკი ჩვენს შორის არცკი ყოფილა. საქმე ისაა, რომ „პანათინაიკოსის“ ხორვატი პრეზიდენტი სამშობლოშია და მგონი, კლუბის სხვა ხელმძღვანელები მას ჯერ არც შეხვედრიან, თუ შეხვდნენ, ჩემი ტრანსფერის თაობაზე არ უსაუბრიათ.

— მაშ, უახლოეს დღეებში „პანათინაიკოსში“ შენს ტრანსფერს არ ველოდოთ?

— იმედი კიდევ მაქვს და ბერძნების სიტყვას ამ კვირაშიც ველი. ჯერ კიდევ არ გამოვრიცხავ „პანათინაიკოსში“ ჩემს გადასვლას.

კობა ინასარიძე

მცხეთა: ნახევრად სავსე თუ ნახევრად ცარიელი?

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მცხეთამ“ წლეულს ჩემპიონატში ისეთი ხმაურიანი გამარჯვებები იზეიმა, საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა და მეტოქენიც დააფრთხო... მაგრამ ასე იყო პირველ წრეში, „მცხეთამ“ სძლია „ლოკომოტივს“, „დინამოს“, „ტორპედოს“, „კოლხეთს“. მეორე წრის დაწყებასთან ერთად კი ამ გუნდის პატრონი ვლადიმერ გუცაევი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო და „მცხეთაც“ ჩამორჩა. ოქტომბრის მერე გუნდი აუტსაიდერებში გაერია და ემანდ იქნებ გავარდეს კიდეც.. თუმცა გუცაევმა გუნდის პერსპექტივა რომ ველარ დაინახა, რადიკალურ ზომებს მიმართა და ერთბაშად ნახევარი გუნდი დაითხოვა. ჯერჯერობით უცნობია „მცხეთას“ ახალწვეულთა ვინაობა, თუმცა ამ გუნდში თამაშის სურვილი რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე გამოთქვა.

ერთიც: „მცხეთა“ შესაძლოა ქუთაისის „ტორპედოდან“ წინა სეზონის ბოლოს დათხოვნილმა უკრაინელმა ალექსანდრ შტელინმა გაწვრთნას. ყოველ შემთხვევაში, მცხეთელებს ასეთი სურვილი აქვთ, მათ მწვრთნელთან წინასწარი მოლაპარაკება უკვე ჰქონდათ. შტელინმა პასუხი უახლოეს დღეებში უნდა თქვას.

კობა ინასარიძე

მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი
საამიროები

ნახევარფინალი

არგენტინა 0:1 *ბრაზილია*

კოლუმბია 0:1 *ესპანეთი*

ინგლისი
ასოციაციის თასი
II ეტაპი. გადათამაშება
არინგტონი 0:0 დ.დ. (პენ. 5:3, 0:0) ბორნმუთი

იტალია
სერია C1/B. XV ტური
კატანძარო 2:0 მარტინა

სად წაიყვანს ურკინიგზო ჩხაიძე ლოკომოტივს?

საქართველოს რკინიგზის დეპარტამეტში მიმდინარე საკადრო ცვლილებების მიუხედავად საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივში“ იმედი აქვთ, რომ დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე „ლოკომოტივის“ პრეზიდენტად დარჩება.

— აკაკი ჩხაიძე ამჟამად გურიაშია, რკინიგზის დეპარტამენტს კი თხუთმეტკაციანი სამეთვალყურეო საბჭო უხელმძღვანელებს — გვითხრა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ და კლუბის ვიცეპრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ — „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი კი ისევ აკაკია ჩხაიძეა. ის კლუბის დამფუძნებლების არჩეულია ამ თანამდებობაზე. ამჟამად „ლოკომოტივი“ შვებულებაშია, გუნდი 12 იანვარს შეიკრიბება და დანარჩენსაც მერე გეტყვით.

ჯერჯერობით „ლოკომოტივიდან“ ახალი არც სატრანსფერო ამბებზე ისმის, თუმც სავსებით შესაძლოა, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე რკინიგზული კლუბი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს. ხელმძღვანელობა ჯერ არც შესაძლო ახალწვეულთა ვინაობაზე ლაპარაკობს.

კოტა ინასარიძე



ლევან სილაგაძე და დავით ჩალაძე უკვე კვიპროსზე არიან

რუბინმა სილაგაძე და ჩალაძე გაიხანგრძლივა

მოლოდინისამებრ, ყაზანის „რუბინმა“ შეთანხმებით დაასრულა ქართველ ფეხბურთელებთან მოლაპარაკება და ლევან სილაგაძე და დავით ჩალაძე კვიპროსულ შეკრებაზე იახლა. ჩვენებურებს კლუბთან კონტრაქტი სეზონის დასრულებისთანავე დაუმთავრდათ, თუმც „რუბინის“ თავკაცობა თავიდანვე ამჟღავნებდა ჩალაძე-სილაგაძესთან ურთიერთობის გაგრძელების სურვილს. მოსახდენი მოხდა — 11 დეკემბერს ყაზანელები ბრინჯაოს მედლებით დაავჯილდოვეს, კვირას კი „წლის აღმოჩენა“ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. „რუბინი“ ორკვირიან შეკრებას კვიპროსზე გაივლის.

ყაზანელთა მთავრმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა გუნდიდან სამი ფეხბურთელი გაუშვა. მათ სანაცვლოდ კი მომავალი სეზონიდან ორი ჩეხი და ერთიც ბრაზილიელი შეიმატეს.

„რუბინს“ კუნძულზე ამხანაგური მატჩებიც აქვს დაგეგმილი და ყურბან ბერდიევი კიდევ რამდენიმე ახალწვეულის გასინჯვას აპირებს. კლუბს მოგვიანებით შეუერთდებიან ბრაზილიელი ლეგიონერები — რონინის და ალოიზიოს შვებულება რამდენიმე დღით გაუხანგრძლივეს.

და კიდევ, „რუბინის“ ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს საახალსეზონო მიზანიც დაუსახა — რუსული პრემიერლიგის ხუთეულში მოხვედრა და უეფას თასზე სულ მცირე, ორი ეტაპის გავლა.

ქახა შალამბერიძე

გამგებელი ბედის განგებას ელის

ხავერდოვანი რევოლუციის ბოლნისური რეალობა: ზურაბ ჯაფარიძე თანამდებობას და „სიონს“ ტოვებს.

ყოფილი ფეხბურთელი და ბოლნისის გამგებელი ფეხბურთის დიდი ქომაგია და მისითაცაა ქვემო ქართლში ფეხბურთის ასე მოღონიერება. ჯაფარიძე თითქმის ათი წელია, „სიონს“ პატრონობს და ამ ხნის მანძილზე ბოლნისურმა ჯუბამ თავის წილ წარმატებას მიაღწია – პერიფერიული გუნდი უეფას თასზე მოხვდა. „სიონი“ ახლა მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, თუმც რა იქნება გაზაფხულიდან, ძნელი სათქმელია, რადგან ითქვა, ჯაფარიძე ბოლნისის გამგებელი აღარ იქნებაო

ბაჩო ჯუბილაძის ფოტო

„სიონის“ ორი ზურაბი: ლობჟანიძე და ჯაფარიძე

ამ ცნობას ბოლნისში არაერთგვაროვნად შეხვდნენ, მწვრთნელ-ფეხბურთელები გამგებლის გვერდით დგანან, ჯაფარიძე გუნდისთვის და ფეხბურთისთვის შეუცვლელი კაციაო. თუმც ჯაფარიძის ბოლნისის გამგებლად დარჩენა-არდარჩენა, ბუნებრივია, მათ სურვილზე არ არის დამოკიდებული. „სიონის“ მომავალი მით უფრო ბუნდოვანია, რომ ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო კლუბს ოფიციალური პრეზიდენტი, „კვარიტის“ დირექტორი ზურაბ ლობჟანიძე გაეცალა.

გუშინ კომენტარისთვის ზურაბ ჯაფარიძეს დავუკავშირდით...

— „სიონის“ მომავალს ბოლნისის გამგებლის თანამდებობაზე თქვენს დარჩენა-არდარჩენას უკავშირებენ...

— არ ვიცი, რა როგორ იქნება. ფაქტია, ყოველთვის „სიონის“ გვერდით ვიდექი და თანამოაზრეებთან ერთად ბოლნისში საფეხბურთო ცხოვრება ავაღორძინე.

— თუკი გამგებლად არ დარჩით, „სიონს“ ვერ დაეხმარებით?

— ასეთ შემთხვევაში ჩემი ქალაქის გუნდს ჩემი მორალური მხარდაჭერა არ მოაკლდება.

— სიონელები ამბობენ, ჯაფარიძის გარეშე ბოლნისში ფეხბურთი ჩაკვდებაო...

— ფეხბურთი ჩემით არ დაწყებულა და არც დამთავრდება... პირველ ეტაპზე გუნდი მესამე ადგილზე გავიდა. უდავოდ კარგი შედეგია და ამის აღნიშვნა აქამდეც მინდოდა. ამ კვირის ბოლოს მწვრთნელ-ფეხბურთელებს, ჟურნალისტებს, გულშემატკივრებს შევხვდები, იმ დროისთვის ალბათ ჩემი საკითხიც გადაწყვეტილი იქნება და წასვლის შემთხვევაში კაცურად დავეშშვიდობები ყველას.

პაატა კვანტალიანი

ჯერ პორტი, მერე სპორტი

ინაიშვილი ჩავიდა და სხვაგან მივიდა

„კოლხეთს“ პრეზიდენტი დაუბრუნდა. საზღვარგარეთ მივლინებაში მყოფ ჯემალ ინაიშვილს ფოთში მოუთმენლად ელოდნენ. „კოლხეთის“ მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ უკეთესი მომავლის იმედით გაუშვა გუნდი შვებულებაში. ბოლო დროს ზღვისპირელებს ფინანსური პრობლემა გაუჩნდათ. ფეხბურთელები კუთვნილ ხელფას-პრემიებს ითხოვდნენ. „კოლხეთში“ სატრანსფერო თანხის მხრივაც წარმოიშვა უსიამოვნებები და მწვრთნელ-ფეხბურთელები მხოლოდ გუნდის პრეზიდენტის იმედად იყვნენ.

წასვლის წინ ჯემალ ინაიშვილმა თქვა, მივლინებიდან რომ დავბრუნდები, ყველაფერს მოვაგვარებო, ელოდნენ კოლხები პრეზიდენტს და ინაიშვილი კვირას ფოთში დაბრუნდა.

რა შედეგი მოჰყვა პრეზიდენტის დაბრუნებას? ამ კითხვით მივმართეთ გუშინ „კოლხეთის“ მწვრთნელ გია ტყებუჩავას და თავად ჯემალ ინაიშვილს.

გია ტყებუჩავა: პრეზიდენტი ჩამოვიდა. ყველანი იმედიანად ვართ. ხვალ ან ზეგ შევხვდებით და მჯერა, ყველა პრობლემა მოგვარდება. ინაიშვილთან შეხვედრის შემდეგ წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც გაირკვევა. ამის შემდეგ ალბათ ახალწვეულებიც მოვლენ და მეორე ეტაპისთვის მზადებას შევუდგებით:

ჯემალ ინაიშვილი: „კოლხეთში“ ყველაფერი ძველებურადაა. ამხელა პორტს ვხელმძღვანელობ და როგორ ფიქრობთ, ფეხბურთის გარდა სხვა საქმე არ მაქვს? ფოთში ჩამოსულს შუქი არ დამხვდა, ამის გამო პორტში დიდი პრობლემები შეგვექმნა. წლის ბოლოა, გეგმა ხომ პირნათლად უნდა შევასრულოთ. ასე რომ, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი მაქვს მოსაგვარებელი.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ „კოლხეთის“ პრეზიდენტი ხართ და კლუბის პრობლემების მოგვარებას თქვენგან ელიან მწვრთნელ-ფეხბურთელები...

— ტყებუჩავა და ქოიავა როგორმე მორიგდებიან ერთმანეთში. კლუბში არც ისეთი პრობლემებია, თქვენ რომ გგონიათ. მალე მეც შევხვდები მათ და ყველაფერს გავარკვევთ.

— როდის მოგვარდება გუნდის პრობლემები?

— როცა კრებას მოვიწვევთ.

— როდის მოიწვევთ კრებას?

— ხომ გითხარით, უამრავი საქმე მაქვს. მივალ ფეხბურთამდეც და გარწმუნებთ, ყველაფერი გუნდისთვის სასიკეთოდ გადაწყდება.

პაატა კვანტალიანი

მენთეშაშვილი და სპორტაკ-ალანია: ვნახოთ

ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიადან“ რიგის „სკონტოში“ განთხოვრებული და ლატვიაში გაჩემპიონებული ქართული ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი ალბათ ისევ რუსულ პრემიერლიგას დაუბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენებურს „სკონტოსთან“ ოვალის ვადა ამოწურა და თუ ოსებმა მისი დაბრუნება გადაწყვიტეს, წინ ვერაფერი დაუდგებათ.

ზურაბ მენთეშაშვილს გუშინ რიგაში დავუკავშირდით.

— იანვარში საბოლოოდ გადაწყდება, რომელ კლუბში ვითამაშებ. „სკონტოსთან“ ხელშეკრულების ვადა უკვე ამოიწურა. „სპარტაკ-ალანიას“ საკუთრება ვარ და სწორედ ამ კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ გაირკვევა ყველაფერი.

— ვლადიკავკაზიდან არავინ შეგხმიანებია?

— ჯერჯერობით არა. სანამ გუნდს ახალ მწვრთნელს არ დაუნიშნავენ, მანამდე ჩემი ბედი არ გაირკვევა. ალბათ მაინც დავბრუნდები.

— ესე იგი, „სკონტოს“ „თანამეგობრობის თასზე“ არ დაეხმარები...

— ზუსტად არ ვიცი. იმ დრომდე გადაწყვეტილი იქნება, რა გზას ვეწიო.

— ოსები თურმე სერიოზული გუნდის გაკეთებას აპირებენ...

— ჰო, ეს მეც გავიგე. „სპარტაკ-ალანიას“ ისევ ის ფირმა უსპონსორებს, რომლის ხელშიც ოსები 1995 წელს რუსეთის ჩემპიონები გახდნენ. სპორტის ქარხნის ხელმძღვანელობას ფული ნაღდად არ აკლია და კარგი იქნება, თუ გუნდს ძველ სახელს დაუბრუნებენ. მწვრთნელადაც სერიოზული კანდიდატები განიხილებიან და ვნახოთ, რა როგორ გამოვა. მე ჯერჯერობით ვისვენებ. „სპარტაკ-ალანიას“ თავკაცობას ალბათ მალე შევხვდები.

— ისე, რამდენიმე თვის წინ „სპარტაკ-ალანიას“ ლამის სკანდალურად დაშორდი...

— ეს უკვე წარსულია. მე ამ კლუბის საკუთრება ვარ და ახლა არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

ქახა შალამბერიძე

ზურაბ მენთეშაშვილს, ეტყობა, ისევ ალანობა მოუწევს

ჩაფრებს ჩააფარეს

ძველი ბიჭების სიტყვა



იცოდა და არ დავიწყებია... ქეცბაიას ისევ გააქვს

ბელზენკირხენის „შალკემ“ როგორც იქნა, მოიგო და სატურნირო ცხრილში „ფრაიბურგს“ გაუცვალა ადგილი. „ხუმარებმა“ სტუმრად „კაიზერსლაუტერნი“ 2:0 დაამარცხეს, თუმცა ჩვენებური ლევან კობიაშვილი ამ საქმეში ვერაფრით შეეშველა თავისიანებს — სათადარიგო იყო.

მოედანზე გასვლა არ მოუწია ლევან ცქიტიშვილსაც. ქართველების „ფრაიბურგი“ სტუმრად „ჰამბურგს“ დაეჩაგვრინა. ალექსანდრე იაშვილმა სრულად ითამაშა და საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

მეორე ბუნდესლიგაში ხვიჩა შუბითიძე გააძევეს. აუე-მ „ლიუბეკს“ ვერც გაუტანა და არც გაატანინა, კლუბის ბომბარდირი შუბითიძე კი მსაჯმა 89-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათით გაისტუმრა მოედნიდან.

„რეინჯერსს“ ერთი ტრავმამოშუშებული ქართველი შეემატა და მეორე მოაკლდა. ჩემპიონთა ლიგაში „პანათინაიკოსთან“ მატჩში მხარნატკენი ზურაბ ხიზანიშვილი ჯერაც მკურნალობს და „ჩაფრებს“ იმიტომ ვერ შეეშველა, შოთა არველაძემ კი ბოლო 18 წუთი ითამაშა, თუმცა „რეინჯერსი“ მარცხისგან ვერ იხსნა. ალექს მაკლიშის ნაქები ბიჭები უსახელო „დანფერმლაინმა“ გააკრა ბეჭებზე.

გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ მრისხანე „ფეიენოორდი“ იმსხვერპლა. ენსხედელებმა 4:2 სძლიეს მეტოქეს და მეშვიდე ადგილამდე აღზევდნენ. გახოკიძე მწვრთნელმა 61-ე წუთზე შეცვალა.

ბოლოს ნაკრების ძველ მეგოლეებზე ვთქვათ: მიხეილ ყაველაშვილმა სეზონში მესამე გოლი გაუტანა „ბელინცონას“, მაგრამ მისი „სიონი“ 3:4 დამარცხდა. თემურ ქეცბაიას „ანართოსისმა“ კი „ეთნიკოსს“ 2:1 მოუგო. გოლით სტუმრები ქეცბაიამაც დაამწუხრა.

ძახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	კაიზერსლაუტერნი 2:0	0	სათადარიგო	15	0	8
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰამბურგი 1:4	90	საგოლე პასი	15	6	9
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰამბურგი 1:4	0	სათადარიგო	14	1	9
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	შ	ლიუბეკი 0:0	89	გააძევეს	16	6	15
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	დანფერმლაინი 0:2	18	შეცვლაზე ითამაშა	12	9	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	დანფერმლაინი 0:2	0	ტრავმირებულია	13	0	2
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ფეიენოორდი 4:2	61	შეცვალეს	15	0	7
შვეიცარია. ჩემპიონლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	სიონი	შ	ბელინცონა 3:4	56	1 გოლი, შეცვალეს	?	3	
ბულგარეთი. თასი								
ამირან მუჯირი	მარეკი	ს	ლევსკი 1:4	90				
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ	ეთნიკოსი 2:1	90	1 გოლი	13	7	
ლევან მაღრაძე	აელ	ს	პარალიმნი 1:0	90		11	2	
ლევან ქებაძე	პარალიმნი	შ	აელ 0:1	90		10	7	
თურქეთი. პირველი ლიგა								
გივი დიდავა	ქოჯაელი	შ	გიოზთეფე 2:1	90		10	0	3

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 39- 40-08

არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსს“ საქმეები ცუდად წაუვიდა — ჩემპიონთა ლიგაში ჩაფლავდა, შოტლანდიის ჩემპიონატში კი რვა ქულით ჩამორჩება „სელტიკს“, რადგან ბოლო ტურში სტუმრად „დანფერმლაინთან“ ნაბაგო. გუშინ რეინჯერსელები გლაზგოს ბავშვთა საავადმყოფოში იყვნენ — ფატარები მოინახულეს და ამ სათნო საქციელის შემდეგ დაიშალნენ. შოთა არველაძეს მერეღა დავურეკეთ

ერთი კვირაც და შევუბერავთ

— რა სჭირს „რეინჯერსს“?

— „დანფერმლაინთან“ შვიდი ტრავმირებული ფეხბურთელი გვაკლდა, თანაც ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვითამაშეთ. „დანფერმლაინი“ ამას შეჩვეულია, ჩვენ კი არა. თამაშის წინა დღეს იქ რომ ვივარჯიშე, თითქმის ყველაფერი ამტკივდა — საფარი ერთობ უხარისხოა და იმიტომ.

— ალექს მაკლიშის მოხსნაზე ხომ არაა ლაპარაკი?

— არა, მას ხომ ოთხი წლით გაუხანგრძლივეს კონტრაქტი დაახლოებით ერთი თვის წინ. „რეინჯერსი“ ძლიერდება — „ოსერის“ მცველ ჟან-ალენ ბუმსონთან უკვე გააფორმეს კონტრაქტი, ახლა მილანის „ინტერის“ ერთ-ერთი ნახევარმცველის გადმობირება სურთ.

— შეცვლაზე ითამაშე — ტრავმა ბოლომდე ჯერ არ მოგიშუშებია?

— დღეს ბოლო ნემსი გავიკეთე და მუხლი უკვე გაცილებით უკეთ მაქვს.

— „სელტიკს“ რვაქულიანი უპირატესობა აქვს — ჩემპიონობის რა შანსი შეგრჩათ?

— მომავალი კვირიდან რონალდ დე ბურის და კრისტიან ნერლინგერის გარდა დანარჩენი მოთამაშეები მწყობრში იქნებიან და შევეცდებით, შევუბეროთ.

— ხიზანიშვილიც მოჯობინდა?

— ერთ კვირაში ზურა ინდივიდუალურად დაიწყებს ვარჯიშს. მისი მტკივანი მხრისთვის კონტაქტური ვარჯიში ჯერ არ შეიძლება, ხოლო ერთ თვეში ალბათ სრულ მზადყოფნაში იქნება.

დავით თავართქილაძე

რეხვიაშვილი სვეშამი

ალექსანდრე რეხვიაშვილი და მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგი“ საბოლოოდ გაიყარნენ. გეხსომებათ, პარასკევს „სარბიელთან“ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი იმედს იტოვებდა, ეგებ „ტორპედო-მეტალურგის“ ხელმძღვანელობასთან შევთანხმდე და ყლუბშიც დავრჩეო, მაგრამ... გუშინ ჩვენებური ყრებას დაესწრო და იქიდან ასეთი პასუხი გამოიტანა: „რეხვიაშვილი ტრანსფერზეა“. ამგვარად, მისი და მოსკოველების ერთწლიანი თანამშრომლობა დასრულდა. სად გაგრძელებს ყარიერას ალექსანდრე რეხვიაშვილი, ჯერაც უცნობია. წუხელ მას მოსკოვში შევეხმიანეთ...



— „ტორპედო-მეტალურგის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას აპირებდი...

— პირადი საუბარი არ მქონია. დღეს კლუბის კრება იყო და ყველაფერი იქ ითქვა.

— კერძოდ, რა?

— ტრანსფერზე დამაყენეს. ამაში მოულოდნელი არაფერი იყო. ისედაც ვიცოდი, რომ „ტორპედო-მეტალურგში“ არ დავრჩებოდი. ხელმძღვანელობამაც იმ ფეხბურთელთა შორის დამასახელა, რომლებიც კლუბს დატოვებენ. არაუშავს, ჩემს გზას ვიპოვი.

— გუნდში ვარჯიშის უფლებაც არ მოგცეს?

— „ტორპედო-მეტალურგი“ ახლა შეკრებაზე მიდის, ამიტომ სარეზერვო გუნდში ვივარჯიშებ. პრობლემა არაა, მთავარია, ფიზიკურ კონდიციებს აღვიდგენ და ახალ კლუბშიც მეტ-ნაკლებად მომზადებული მივალ.

— იმედიანად ჩანხარ და ვარიანტებს ვერ გაგვიმხელ?

— ჯერჯერობით არ შემიძლია. რამდენიმე რუსული კლუბი უკვე დამიკავშირდა და მათგან საუკეთესოს ავირჩევ. მოლაპარაკებას დღესხვალ დავიწყებ.

— რამდენ ხანში გაირკვევა ყველაფერი?

— ალბათ ამ კვირაში გადაწყდება, სად წავალ. მალე კლუბები საახალსეზონო მზადებას დაიწყებენ და დრო არც ისე ბევრი მაქვს, თუმც უიმედოდ ნაღდად არ ვარ. მალე ახალ კლუბში მნახავთ.

ძახა შალამბერიძე

კან-კუფური მაკაის თანხლებით და მუსიკის გაკვეთილები ბითუმად

გერმანია

ბუნდესლიგა. XVI ტური

ბაიერნი 1:0 შტუტგარტი

1:0 მაკაი (75)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი (შვაინსტაიგერი 73), ჰარგრივსი, ბალაკი, სანტა კრუზი (ზე რობარტო 61), მაკაი (მისიმოვიჩი 89), კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი (ბრანკო 77), ვრანიეში, ტიფერტი (კაკაუ 79), ჰელდტი, გლები, კურანი, საბიჩი (ამანატიდისი 63)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: სალიჰამიჯიჩი, ბალაკი, საბიჩი

მსაჯი: მერკი

63 000 მაყურებელი

ლევერკუზენი 1:3 ვერდერი

0:1 აიტონი (42), 0:2 კრსტაიჩი (44), 1:2 ნოვოტნი (72), 1:3 ლისტეში (90 პ)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე (ბიროფკა 69), ბ. შნაიდერი, ბალიტჩი (ბაშთურქი 54), პონტე, ბაბიჩი, ბერბატოვი, ფრანცა (ნოვილი 59)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

ვერდერი: რაინკე, უმითი, ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი (შულცი 90), ლისტეში, მიკუ, აილტონი (ხარისტიასი 77), კლასნჩი (ბოროვსკი 75)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ბალიტჩი, შნაიდერი, მიკუ, მიკუ

გაძევება: მიკუ (67), ნოვოტნი (90)

მსაჯი: კემლინგი

22 500 მაყურებელი

ჰერტა 1:1 მიუნხენი

1:0 როდრიგო კოშტა (53ს.კ.), 1:1 ლაუტი (57)

ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, რემერი, ნ. კოვაჩი, ნოინდორფი (ჰარტმანი 62), მადლუნგი (პინტუ 79), გოორი, მარსელინიო, ბობიჩი, ვიშნიარეკი (რაფაელი 69)

მწვრთნელი: ანდრეას ტომი

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, შტრანცლი, როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი, ტისი, გიორლიცი (რ. მაიერი 85), მ. ლემანი, ჩერნი, ვაისენბერგერი, ლაუტი (ბაიერი 71), დავიდსი (შროტი 60)

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

გაფრთხილება: რემერი, შტრანცლი, როდრიგო კოშტა

მსაჯი: ვაგნერი

27 112 მაყურებელი

ჰანზა 1:1 კიოლნი

0:1 პოდოლსკი (34), 1:1 პრიკა (64)

მაქსმა ვერ გაიტანა პენალტი (64, მეკარე)

ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, ტიკუზუ, ჰილი, ლანცი, შულცი (მელკამი 81), მაული, რიდლევიჩი (ვიმერი 90), დი სალვო (პრიკა 62), მაქსი

მწვრთნელი: იური შლიუნცი

კიოლნი: ვესელსი, დოგანი, ჩიკონი, კულმანი, სინკალა (ბაირიხი 74), ვოიტტი, ო. შროდერი, შპრინგერი, კრინგე (ზერეი 74), პოდოლსკი (ლუტნერი 80), ვორონინი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: ლანცი, რიდლევიჩი, დოგანი

მსაჯი: კესლერი

20 200 მაყურებელი

ჰამბურგი 4:1 ფრაიბურგი

1:0 რაინჰარდტი (7), 2:0 ბარბარეზი (18), 2:1 ანტარი (50), 3:1 მალტრიცი (67), 4:1 რანი (88)

ჰამბურგი: ვიასტერი, ვიკი, ჰოოგმა, რაინჰარდტი, მალტრიცი, ბაინლიხი, კლინგი, მაჰდავიკია (იაკობსონი 80), იაროლიმი (რანი 84), ბარბარესი, ტაკაჰარა (ბენუამინი 69)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, ბ. დიარა, კრუპკე, ბერნერი, კონდე (ბაირამოვიჩი 46), რაიტერი, ანტარი, კულიბალი (ტანკო 46), იაშვილი, სანუ (კაირო 71)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: კრუპკე

მსაჯი: ალბრეხტი

43 392 მაყურებელი

ბოხუმი 1:0 აინტრახტი

1:0 ჰაშემიანი (21)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, ვრიზდე, ფარენჰორსტი, ჰ. ბიონინგი, ოლისე (ედუ 74; ბემბენი (83), ცდებელი, ვოში (სტევიჩი 67), ფრაიერი, ჰაშემიანი, ჰ. მადსენი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

აინტრახტი: ნიკოლოვი, პროისი, ბინდევალდი, კრისი, ვიდენერი, ბიურგერი (დრაგუშა 46), გიუნტერი (ლექსა 74), შკელა, პულიზი, ჩა (ფრომერი 83), ბაიერლე

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

გაფრთხილება: ვოში, რიზდე, ედუ, პულიზი, ბინდევალდი

მსაჯი: ვაინერი

23 129 მაყურებელი

კაიზერსლაუტერნი 0:2 შალკე

0:1 ასამოა (7), 0:2 აგალი (85)

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, რიდლი, მეტომო, ჩატო, მალეი (გლიბო 89), დომინგეში (ბიელიცა 79), ხრისტოვი, ანფანგი, კოსოვსკი (ნურმელა 72), ლინკოლნი, ჰალილ ალტინტოპი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, კლასენერი, ხ. როდრიგესი, ვან კერკჰოვენი, უდე კამპუისი, ვერმანტი, ასამოა (კ. პოულსენი 61), ჰამიტ ალტინტოპი, ზაიცი (მატელანი 82), ჰანკე (აგალი 40)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: ხრისტოვი, რიდლი, ვერმანტი, აგალი

მსაჯი: შიპელი

40 000 მაყურებელი

მიონხენგლადბახი 2:1 დორტმუნდი

1:0 დემო (11), 1:1 კოლერი (12), 2:1 ასანინი (83)

მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, გაედე, ასანინი, კარნელი, ულიხი, დემო (სვერკოში 66), კოლგე, კოლკა (ობრადოვიჩი 69), ვან ჰუტი, ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მ. მეცელდერი, შ. როიტერი, ვიორნსი, რიკენი, კელი, როსიცკი, ლეანდრო, ოდონკორი (ევერტონი 68), კოლერი, გამბინო

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: კოლკა, დემო, ვიორნსი, ვაიდენფელერი

მსაჯი: შტაინბორნი

34 000 მაყურებელი

ვოლფსბურგი 2:1 ჰანოვერი

0:1 შტენდელი (14), 1:1 ბაიანო (29), 2:1 პეტროვი (68)

ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი, ფრანცი, შნოორი (მ. პეტროვი 55), ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, დალესანდრო (ს. მიულერი 88), მენსეგეში, კლიმოვიჩი, ბაიანო (ბილიშკოვი 73)

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, ზურავი, კონსტანტინიდისი (ვინიციუსი 53), კლებერი, შტენდელი, დაბროვსკი, დე გუზმანი (შრიოტერი 81), ბრდარიჩი, კრისტიანსენი (სტაინერი 62), იდრისუ

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: შნოორი, ვაიზერი, შტენდელი, ბრდარიჩი

მსაჯი: იანსენი

30 000 მაყურებელი

„შტუტგარტის" თხუთმეტმატჩიანი ბაირამობა დამთავრდა — ფელიქს მაგათის გუნდის პირველი მოგუდვა მიუნხენის „ბაიერნმა" იკისრა.

„ოლიმპიაშტადიონზე" ამ სეირის სანახავად 63 000 კაცი მოქუჩდა. სუსხიან შუადღეს ხალხმა მდარე პირველი ტაიმი იხილა, მაგრამ მერე ლაზათიანი ბრძოლის ყურებით შეზარხოშდა.

„ბაიერნის" გამარჯვების მთავარი კაცები ოლივერ კანი, სამუელ კუფური და როი მაკაი იყვნენ. გოლი ჰოლანდიელმა გოლდამშენმა კი გაიტანა, მაგრამ კანმა სამჯერ იხსნა „ბაიერნი", ხოლო კუფურმა ის დროება გაიხსენა, 3-4 წლის წინ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო სტოპერად რომ მიიჩნევდნენ.

ოტმარ ჰიცფელდმა 4-3-3 აირჩია და იქნებ ამიტომაც „ბაიერნის" დაცვას და მეკარეს დიდი ჯაფა დაადგათ. მიუნხენელებმა კი ტიმო ჰილდებრანდი პირველად მაშინ აანერვიულეს, როცა ოუენ ჰარგრივსის ჯარიმას კლაუდიო პიზაროს თავი შეაგება და ბურთი ხარიხას გადაავლო. „შტუტგარტს" გატანის შანსი 39-ე წუთზე ჰქონდა, მაგრამ კანმა ალექსანდრ გლებს მომენტი გაანიავებინა.

დაიწყო მეორე ტაიმი და ფილიპ ლამს შეეძლო „ბაიერნის" დამწუხრება, თუმც კვლავ კანმა იმარჯვა. შემდეგ კევინ კურანიმ თავურით მოიწადინა გატანა, მაგრამ „ბაიერნი" ისევ კანმა იხსნა.

შეტევაში უქმად არც „ბაიერნი" ყოფილა, თუმც მეტოქისთვის მწვავე მომენტები არ შეუქმნია — მიხაელ ბალაკმა ორჯერ შორიდან სცადა და ბედი ორივეჯერ სიზუსტე დააკლდა.

თუმც „ბაიერნს" — [illegible] და ისეთი ორწუთიანი დაწოლა განახორციელა მეტოქეზე, რომ გამარჯვებას გამორჩა — 73-ე წუთზე პიზაროს ჰილდებრანდმა აუღო, ორი წუთის შემდეგ კი მაკაიმ ბურთიანად კარგა მანძილი დაფარა, მარცხნივ გაიჭრა და ჰილდებრანდსაც ოსტატურად აუფართხალა ბადეში.

„შტუტგარტს" მატჩის შემობრუნების ნიათი არ აღმოაჩნდა, ხოლო ბიქსენტ ლიზარაზუს ერთხელაც შეეძლო სტუმართა დამწუხრება.

სხვა გზა არ გვაქვს, შაბლონით უნდა ვთქვათ — ბრემენის „ვერდერმა" კარგი გაკვეთილი ჩაუტარა ლევერკუზენში „ბაიერ 04"-ს. სტუმართა ფრანგი პლეიმეიკერის იოან მიკუს გაძევების შემდეგ მასპინძლებმა ერთი გოლი გაქვითეს — იენს ნოვოტნიმ „ლევერკუზენს" იმედი ჩაუსახა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ანგელოს ხარისტიასთან უხეშობისთვის მინდვრიდან მიაბრძანეს, ხოლო წერტილი კრისტიან ლისტეშმა დასვა პენალტით.

დაშტერებიდან თანდათან გამოდის გელზენკირხენის „შალკე" — „ხუმარებმა" ნაგრიპალი ლევან კობიაშვილის გარეშეც აართვეს სამი ქულა „კაიზერსლაუტერნს" ზანგური გოლებით.

ზედიზედ ხუთი მატჩია, არ წაუგია „ჰამბურგს", ხოლო „ფრაიბურგმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო სტუმრად. ალექსანდრე იაშვილი ამ მარცხიან შეხვედრაში საგოლე გადაცემას გამორჩა.

ზედიზედ სამი ვერმოგებული თამაშის შემდეგ გამარჯვება იზეიმა „ბოხუმმა" — ირანელმა ვაჰიდ ჰაშემიანმა თავით გაიტანა.

ბორუსიულ დერბიში მეტი ფხა გლადბახელებს აღმოაჩნდათ, ხოლო „ჰანზას" 35 წლის მეგოლე მარტინ მაქსს ხელი მოეცარა — 11-მეტრიანი გააცუდა.

დავით თავგართქილაძე

ბაიერნი — შტუტგარტი. როი მაკაის საგოლე დარტყმა

REUTERS მიუნხენიდან

მეორე ბუნდესლიგა

XVI ტური

ალენი 0:0 ალემანია

არმინია 5:0 ოსნაბრიუკი

1:0, 2:0, 3:0, 4:0 კიუნცელი (27, 29, 41, 54), 5:0 ვატა (65)

ფიურტი 3:3 დუისბურგი

0:1 აჰანფუფი (12), 0:2 დრსეკი (23), 1:2, 2:2 რუმანი (29, 43), 2:3 აჰანფუფი (48), 3:3 რუმანი (69)

ობერჰაუზენი 3:1 ნიურნბერგი

1:0 შტელე (8ს.კ.), 1:1 დავიდი (20), 2:1 რადულოვიჩი (74), 3:1 ალიაი (82)

ბურგჰაუზენი 1:1 ტრირი

1:0 ბრუმი (39პ), 1:1 ვინკლერი (68)

კოტბუსი 3:1 უნტერჰახინგი

1:0 რეგეკამპფი (5), 1:1 შუკალო (23), 2:1 ტანკე სილვა (46), 3:1 ვაგნერი (71)

აუე 0:0 ლიუბეკი

კარლსრუე 2:1 უნიონი

1:0 კეისი (13), 2:0 საენკო (27), 2:1 პეიჯი (45)

მაინცი 1:1 რეგენსბურგი

1:0 ვებერი (66), 1:1 ვილმანი (76)

ალემანია	16	9	3	4	28:24	30
კოტბუსი	16	8	4	4	29:23	28
მაინცი	16	7	6	3	26:19	27
ობერჰაუზენი	16	7	5	4	27:19	26
ნიურნბერგი	16	7	4	5	27:21	25
არმინია	16	7	3	6	24:18	24
კარლსრუე	16	7	3	6	19:22	24
უნტერჰახინგი	16	6	5	5	25:25	23
ფიურტი	16	5	7	4	30:25	22
დუისბურგი	16	5	7	4	23:23	22
ბურგჰაუზენი	16	5	5	6	21:20	20
რეგენსბურგი	16	5	5	6	22:23	20
ლიუბეკი	16	4	7	5	26:25	19
ალენი	16	5	2	9	18:27	17
აუე	16	3	7	6	16:19	16
უნიონი	16	4	4	8	16:20	16
ოსნაბრიუკი	16	4	4	8	17:28	16
ტრირი	16	3	5	8	18:31	14

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ვერდერი	16	11	3	2	42:20	22	36	8	5	2	1	20:12	8	17	8	6	1	1	22:8	14	19
2	შტუტგარტი	16	10	5	1	22:4	18	35	8	5	3	0	11:2	9	18	8	5	2	1	11:2	9	17
3	ლევერკუზენი	16	9	5	2	31:15	16	32	8	6	1	1	19:7	12	19	8	3	4	1	12:8	4	13
4	ბაიერნი	16	9	5	2	34:19	15	32	8	6	2	0	23:9	14	20	8	3	3	2	11:10	1	12
5	ბოხუმი	16	7	4	5	28:20	8	25	8	5	3	0	16:3	13	18	8	2	1	5	12:17	-5	7
6	დორტმუნდი	16	7	3	6	28:24	4	24	8	6	2	0	22:9	13	20	8	1	1	6	6:15	-9	4
7	ვოლფსბურგი	16	8	0	8	34:31	3	24	9	7	0	2	24:12	12	21	7	1	0	6	10:19	-9	3
8	შალკე	16	6	5	5	22:22	0	23	8	3	3	2	9:8	1	12	8	3	2	3	13:14	-1	11
9	ფრაიბურგი	16	6	3	7	24:31	-7	21	8	6	1	1	19:12	7	19	8	0	2	6	5:19	-14	2
10	ჰამბურგი	16	5	5	6	20:27	-7	20	8	4	2	2	14:12	2	14	8	1	3	4	6:15	-9	6
11	ჰანზა	16	5	4	7	24:24	0	19	8	3	1	4	11:9	2	10	8	2	3	3	13:15	-2	9
12	ჰანოვერი	16	5	4	7	28:35	-7	19	7	2	3	2	14:14	0	9	9	3	1	5	14:21	-7	10
13	მიუნხენი	16	5	4	7	17:24	-7	19	8	4	1	3	9:11	-2	13	8	1	3	4	8:13	-5	6
14	ლაუტერნი	16	5	2	9	19:30	-11	17	8	3	2	3	11:8	3	11	8	2	0	6	8:22	-14	6
15	გლადბახი	16	4	4	8	16:23	-7	16	8	3	3	2	8:8	0	12	8	1	1	6	8:15	-7	4
16	ჰერტა	16	2	7	7	15:30	-15	13	8	1	3	4	8:16	-8	6	8	1	4	3	7:14	-7	7
17	აინტრახტი	16	3	3	10	14:25	-11	12	8	2	2	4	9:12	-3	8	8	1	1	6	5:13	-8	4
18	კიოლნი	16	2	4	10	12:26	-14	10	8	2	1	5	7:12	-5	7	8	0	3	5	5:14	-9	3

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

ბომბარდირები

აილტონი (ვერდერი)	15
მაქსი (ჰანზა)	12
ჰაშემიანი (ბოხუმი)	10
კლოზე (კაიზერსლაუტერნი)	9
კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი)	9

XVII ტური

17 დეკემბერი

ჰანოვერი — ბოხუმი
აინტრახტი — ჰამბურგი
ფრაიბურგი — ბაიერნი
შტუტგარტი — ლევერკუზენი
ვერდერი — ჰანზა
კიოლნი — ჰერტა
მიუნხენი — გლადბახი
დორტმუნდი — ლაუტერნი
შალკე — ვოლფსბურგი

ქვეული თარიღების უქმეები და გაქცეული ვუნდერკინდი



ჩელსი — ბოლტონი. სემ ალარდაისმა კლაუდიო რანიერი 1975 წელში ამოგზაურა

ინგლისი

პრემიერლიგა. XVI ტური

არსენალი 1:0 ბლექბერნი

1:0 ბერხკამპი (11)

არსენალი: ლემანი, კ. ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ედუ 84), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (პარლოუ 74)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ბლექბერნი: ფრიდელი, ბაბელი (დ. ბაჯო 82), შორტი, ტოდი, გრეშკო (რიდი 46), ემერტონი, თუგაი, ბ. ფერგიუსონი, ნაილი, გალაჰერი (ენდი კოული 57), იორკი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ჟილბერტო სილვა, სიგანი, გრეშკო, ფერგიუსონი, ბაბელი, ტოდი

მსაჯი: დურსო

37 677 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ. 3:1 მანჩესტერ სიტი

1:0 სქოულზი (7), 2:0 ვან ნისტელროი (34), 2:1 რაიტ-ფილიპსი (52), 3:1 სქოულზი (73)

მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში, კლებერსონი (კ. რონალდო 74), ფ. ნევილი, როი კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჟიხაი, რ. დანი, სომეილი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, მაკმანამანი, ჯ. ბარტონი, ტ. სინკლერი (ვანჩოპე 81), ანელკა, ფაულერი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: ბარტონი, ჟიხაი

მსაჯი: ჰალსი

67 645 მაყურებელი

ჩელსი 1:2 ბოლტონი

1:0 კრესპო (22), 1:1 ნგოტი (39), 1:2 ტერი (90ს.კ.)

ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი, დეესაი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი (ჰ ასელბაინკი 70), ლამპარდი (ჯერერმი 78), მაკელელე, დაფი, კრესპო (ჯ. კოული 78), მუტუ

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჩარლტონი, რ. გარდნერი, ფრანდსენი, ჯორკაეფი (პედერსენი 86), ოკოჩა, კამპო, ნოლანი (იანაკოპულოსი 62), კ. დევისი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: გრონკიაერი, გარდნერი, ფრანდსენი

მსაჯი: მესიასი

40 491 მაყურებელი

ლივერპული 1:2 საუთჰემპტონი

0:1 ორმეროდი (2), 0:2 სვენსონი (64), 1:2 ჰესკი (75)

ლივერპული: კირკლენდი, ოსტემობორი, ბისკანი, ჰიიპია, რიისე, დიუფი (ლე ტალეკი 57), ჰამანი (სინამა პონგოლე 57), ჯერარდი, დენი მერფი, შმიცერი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, მიხაელ სვენსონი, ლუნდეკვამი (მარსდენი 41), ჰიგინბოთემი, ტელფერი, დელაპი, პრატონი, ბიტი (დელგადო 81), პახარსი (ფერნანდესი 63), ორმეროდი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

მსაჯი: დარკინი

41 762 მაყურებელი

ნიუკასლი 4:0 ტოტენჰემი

1:0, 2:0 რობერი (35, 55), 3:0, 4:0 შირერი (59, 66)

ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ბრამბლი, ჟუდგეტი (ობრაიენი 46), ბერნარი, დაიერი, ჯენასი, სპიდი (სოლანო 80), რობერი (ამბროზი 79), შირერი, ამეობი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ტოტენჰემი: კელერი, კარი, რიჩარდსი, ე. გარდნერი, ტარიკო, ანდერტონი, კინგი, პოიეტი (მაბიზელა 54), კონჩესკი (დალმა 80), რობი კინი, კანო (პოსტიგა 62)

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

გაფრთხილება: ჯენასი, ამბროზი, გარდნერი, კარი

მსაჯი: ვაილი

52 139 მაყურებელი

ლიდსი 3:2 ფულემი

1:0 დაბერი (41), 2:0 ვიდუკა (46), 2:1, 2:2 საჰა (47, 86), 3:2 მატეო (88)

ლიდსი: ჰ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, დაბერი, ჰარტი, ჰენანტი, ა. სმიტი, ბეტი, მატეო, მილნერი, ვიდუკა

მწვრთნელი: ედი გრეი

ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი (ჰ ეილსი 63), მელვილი, ნაითი, ჰარლი, მალბრანკი, ლეგვინსკი, კლარკი, შ. დევისი, ბოა მორტე (სავა 77), საჰა

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ბეტი, სმიტი, ბოა მორტე

მსაჯი: ბერი

30 544 მაყურებელი

ასტონ ვილა 3:2 ვულვერჰემპტონი

1:0, 2:0 ანსელი (21, 24), 2:1 რაე (36), 3:1 ბერი (48), 3:2 კენედი (80)

ასტონ ვილა: სორენსენი (პოსტმა 51), დილანი, მელბერგი, დაბლინი, ჯ. სამუელი, ვასელი, გ. მაკკანი, ჰიცლსპერგერი, ბერი, ოლბოკი (დე ლა კრუზი 58), პ. ანსელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ვულვერჰემპტონი: ოუენი, ლუნნი, ბატლერი, კრადოკი, ირვინი (ნეილორი 83), კამერონი (სილასი 59), ინსი, რაე, კენედი, ა. კამარა, სტარიჯი (მილერი 59)

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

გაფრთხილება: დილანი, სამუელი, მაკკანი, კამარა, ინსი, ლუნნი, რაე

მსაჯი: პოლი

36 964 მაყურებელი

მიდლსბრო 0:0 ჩარლტონი

მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, რიგოტი, საუთგეიტი, კეტრუ, მენდიეტა, ბოატენგი, გრინინგი (დოუნინგი 76), ზენდენი, მაკარონე (მ. რიკეტსი 71), ნემეტი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, ჯ. ფორჩუნი, პერი, ბრეიდარსონი, პარკერი, კ. იენსენი, ჰოლანდი, გ. სტიუარტი, იუელი, დი კანიო

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: რიკეტსი, ბრეიდარსონი

მსაჯი: ვები

26 721 მაყურებელი

პორტსმუთი 1:2 ევერტონი

1:0 რობერტსი (15), 1:1 კარსლი (27), 1:2 რუნი (42)

პორტსმუთი: სრნიჩეკი, მეთიუ ტეილორი, ფოქსი, ბ. ჟივკოვიჩი, სტეფანოვიჩი, სმერტინი, ფეიე, სტოუნი, რობერტსი, შერინგემი (პერიკარი 79), აიეგბენი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ევერტონი: მარტინი, პისტონე, სტაბსი, ანსუორთი, ნეისმიტი, უოტსონი (რუნი 24), კარსლი, გრავესენი, კილბეინი, რაძინსკი (მაკფადენი 84), ჯ. ჯემპელი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

მამისტოლა სტივ სტოუნს უეინ რუნმა მუშტი და ბილწი სიტყვა აყადრა

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 არსენალი	16	11	5	0	30:11	19	38	8	6	2	0	13:6	7	20	8	5	3	0	17:5	12	18
2 მანჩესტერი	16	12	1	3	32:10	22	37	9	7	1	1	21:5	16	22	7	5	0	2	11:5	6	15
3 ჩელსი	16	11	3	2	30:12	18	36	8	6	1	1	17:7	10	19	8	5	2	1	13:5	8	17
4 ფულემი	16	7	4	5	28:22	6	25	8	4	2	2	14:10	4	14	8	3	2	3	14:12	2	11
5 ნიუკასლი	16	6	6	4	25:20	5	24	9	4	3	2	14:5	9	15	7	2	3	2	11:15	-4	9
6 საუთჰემპტონი	16	6	5	5	15:12	3	23	8	4	1	3	8:6	2	13	8	2	4	2	7:6	1	10
7 ჩარლტონი	16	6	5	5	22:20	2	23	7	2	2	3	9:12	-3	8	9	4	3	2	13:8	5	15
8 ბირმინგემი	16	6	5	5	14:18	-4	23	8	2	3	3	6:11	-5	9	8	4	2	2	8:7	1	14
9 ლივერპული	16	6	4	6	23:18	5	22	8	3	1	4	12:11	1	10	8	3	3	2	11:7	4	12
10 ბოლტონი	16	5	6	5	16:22	-6	21	7	2	4	1	7:4	3	10	9	3	2	4	9:18	-9	11
11 მიდლსბრო	16	5	5	6	12:15	-3	20	9	2	3	4	6:10	-4	9	7	3	2	2	6:5	1	11
12 სიტი	16	5	4	7	23:22	1	19	7	2	2	3	12:10	2	8	9	3	2	4	11:12	-1	11
13 ტოტენჰემი	16	5	3	8	18:24	-6	18	8	4	1	3	13:11	2	13	8	1	2	5	5:13	-8	5
14 ბლექბერნი	16	5	2	9	23:25	-2	17	7	3	0	4	11:11	0	9	9	2	2	5	12:14	-2	8
15 ევერტონი	16	4	5	7	17:20	-3	17	8	3	3	2	11:7	4	12	8	1	2	5	6:13	-7	5
16 ასტონ ვილა	16	4	5	7	14:23	-9	17	8	4	3	1	10:7	3	15	8	0	2	6	4:16	-12	2
17 ლესტერი	16	4	4	8	23:25	-2	16	9	2	4	3	12:12	0	10	7	2	0	5	11:13	-2	6
18 პორტსმუთი	16	4	4	8	18:22	-4	16	8	4	0	4	16:10	6	12	8	0	4	4	2:12	-10	4
19 ლიდსი	16	4	3	9	16:36	-20	15	9	2	3	4	9:15	-6	9	7	2	0	5	7:21	-14	6
20 ვულვზი	16	2	5	9	13:35	-22	11	7	2	3	2	7:14	-7	9	9	0	2	7	6:21	-15	2

1975 წლის დეკემბერში სემ ალარდაისი 21 წლისა იყო და „ბოლტონის“ ძირითად შემადგენლობაში იკიდებდა ფეხს. ახლა სემ ალარდაისი ორმოცდაათს მიტანებული კაცია და „ბოლტონის“ მენეჯერი შექნილა. მრავალი რამ მომხდარა ამ ოცდარვა წელიწადში, მაგრამ ერთი კი ნამდვილად არა: იმ დეკემბრის შემდეგ „ბოლტონს“ „სტემფორდ ბრიჯზე“ არ მოუგია.

ჰოდა, ახლა ამ შაბათს მოიგო, თანაც ისე გულისხმიერად, ისე მწარედ დაამარცხა „ჩელსი“, ისეთი ფასი დაუსვა აბრამოვიჩის გუნდს, რომ ლიდერობაც დააკარგვინა. „ჩელსი“ ერნან კრესპოს თავურით იგებდა: დაფის ჩაწოდებულს ჯონ ტერიმ შეაშველა თავი და ამას კრესპომაც მიაყოლა. თუმცა, „ბოლტონმა“ უარი თქვა იმის აღიარებაზე, რომ „ჩელსი“ ძელებს უზანზარებს და საერთოდაც სამი ქულის ამღებად გამოიყურება. ამის პირველი ნიშანი იური ჯორკაეფის კარგ საჯარიმოზე ბრუნო ნგოტის დაკრულმა თავურმა გამოაჩინა — 1:1 და „ჩელსის“ უპირატესობა, რომელიც ცუდი საბოლოო დარტყმებით გამოიხატა და კლაუდიო რანიერის უსიამოვნო ქულა მისცა.

თუმცა, როგორც ბოლო წუთს გარკვა, ქულა არ ყოფილა: მოედნის შუაგულში ივან კამპო წიხლით წავიდა ბურთზე, ის მუტუს მოუგო, მსაჯის მდუმარე სასტვენი ეამა და მარცხენა ფრთაზე დაყენებულ, მოედანზე 4 წუთის შესულ პედერსენს გადასცა. სკანდინავი ფლანგს ჩაუყვა, ბურთ-დუნედ მიტაცოლოდა გლენჯონსონი. როგა-პარით ბაზს გუსწორდა, პედერსენმა ხაჯარიმოზკენ შეუხვია, ჯონსონი კი უდარდელად მიჰყვა. მერე ბოლტონელმა კარისკენ თუ კარის გასწვრივ დაარტყა, ბურთი მარჯვენა ფეხზე მოხვდა დაზღვევაზე, ახლო ძელთან ჩამდგარ ჯონ ტერის და იმ ძელთანვე შესრიალდა კარში.

ასე დაკარგა „ჩელსიმ“ პრემიერლიგის ლიდერობა, რომელიც კვირა შუადღეს „არსენალმა“ დაიბრუნა „ბლექბერნთან“ ბრძოლით. დენის ბერხკამპმა ადრევე გაიტანა, როგორც მერე გაირკვა, შეხვედრის ერთადერთი გოლი, თუმცა, ბრძოლა ფიცხელი იყო. „ბლექბერნს“ ზედიზედ მოეგო წინა ორ ტურში, შარშან კი „არსენალისთვის“ ქულაც კი არ გაემეტებინა. თუმცა, თამაში მაინც ამ კენტი გოლით დასრულდა, მარკუს ბაბელის თავური ბლექბერნელებს ხელისკვრის გამო არ ჩაუთვალეს. მანამდე კი, ერთი ღამით ლიდერად იყო „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელმაც მანკუნიანურ დერბიში „სიტის“ მოუგო ჰოლ სქოულზის ბრწყინვალე თამაშის წყალობით, თუმცა, შონ რაიტ ფილიპსმა არა უბრალოდ ლამაზი საპასუხო გაიტანა, არამედ გვარიანადაც აშფოთა მასპინძლები. ამის მიუხედავად, ალისფერთა უპირატესობა უეჭველი იყო. „ოლდტრეფორდზე“ „სიტის“ ბოლოს მოეგო 1974 წელს, „იუნაიტედის“ კარში ერთადერთი გოლი გაეტანა დენის ლოუს, რომელიც მანამდე 11 წელიწადს თამაშობდა „იუნაიტედში“ და ვითარცა კლუბის დაბერებული ლეგენდა ისე მოიშორეს თავიდან. ჩემპიონატის ბოლო ტურში, ლოუმ ქუსლით გაუტანა თავის ძველ მეგობრებს და „იუნაიტედი“, რომელსაც ფრეც ჰყოფნიდა, ლიგიდან გავარდა. იმის შემდეგ, „სიტის“ აღარ მოუგია და ისტორიაც გაგრძელდა, თუმცა კევინ კიგანსაც, როგორც მწვრთნელს, აქამდე არასდროს წაეგო სადერბო თამაში, არც „ნიუკასლში“, არც „ფულემში“ და არც „სიტიში“ მუშაობისას.

საერთოდაც, ეს ტური საუცხოო თამაშებისა გამოდგა: ედი გრეის ხელქვეით მყოფმა „ლიდსმა“ ზედიზედ მეორედ მოიგო — დომინიკ მატეოს გვიანი თავურით გამოგლიჯა მოგება მეოთხე ადგილზე მდგომ „ფულემს“, რომელსაც მანამდე ორბურთიანი უპირატესობა ამოაგებინა. „ბირმინგემმა“ მიდლენდურ ჯაჭში სძლია „ლესტერს“, რომელსაც ჯერ მხცოვანი მეტ ელიოტი გაუძევეს, მერე კი მეკარე უოკერიც ზედ მიაყოლეს. „ვილამ“ ასევე ჭიდილში აართვა სამი ქულა „ვულვზს“, ხოლო „პორტსმუთმა“ კვლავ წააგო და შინ „ევერტონთან“, ასევე ჯახაჯუხიან თამაშში, რომელზეც ქვემოთ შევყოვნდეთ უეინ რუნის აფრენის გამო.

მანამდე კი უნდა ითქვას, რომ წინდაწინ ვიცით — გაისად ალან შირერი ფეხბურთს თავს ანებებს, ანუ სეზონნახევარიღა დარჩენია. თუმცა, ვინ უნდა შეცვალოს ინგლისურ ფეხბურთში დიადი შირა, ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ის არა მხოლოდ ლიდერობს მთავარ-

XVII ტური

20 დეკემბერი

ბირმინგემი — მიდლსბრო
ბლექბერნი — ასტონ ვილა
ბოლტონი — არსენალი
ჩარლტონი — ნიუკასლი
ევერტონი — ლესტერი
ფულემი — ჩელსი
სიტი — ლიდსი
საუთჰემპტონი — პორტსმუთი
ტოტენჰემი — მანჩესტერი
ვულვზი — ლივერპული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგოლეთა სიას, არამედ მარტო სჯობს ყველა პრემიერლიგელ თავდამსხმელს, რომელთა სახელების ჩამოთვლა, გასაგებია, სადავო იქნებოდა. შირამ ამ ტურშიც დუბლი აასრულა „ტოტენჰემის“ კარში, თუმცა მანამდე იყო ლორან რობერის ორი ბრწყინვალე შორეული დარტყმა, ორი გოლი, რომელმაც „ტოტენჰემი“ მოარლვია. გაბრაზებული ლონდონელები ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ, კაპიტანმა სტივ კარმა ძლივს გააშველა დინ რიჩარდსი და კეისი კელერი.

ამასობაში კი შავი ღრუბლები შემოიჯარა „ენფილდის“ თავზე. იქ შაბათ შუადღით დიდი ტრანსპარანტი ეკიდა: „ჩვენს მაღლა მხოლოდ ცაა.“ სინამდვილეში კი „ლივერპულზე“ მაღლა უკვე ძალიან ბევრი ვინმეა და „საუთჰემპტონმაც“ ბრწყინვალე თამაშითა და მეკარისა და მცველების ნამდვილი გმირობით, რასაც თავდამსხმელთა მოქნილობაც ემატებოდა, სამი ქულა ააფცქვნა ჟერარ ულიეს, რომელმაც უხალისოდ წაიბურტყუნა: „მათ მთელი სამი ქულა ეკუთვნოდათ.“

ემილ ჰესკის ერთადერთი საპასუხო, რომელიც მისგან სამხრეთელთა კარში გატანილი კარიერაში მეექვსე გოლი გამოდგა, ნუგეშად ვერ იქცა. „ლივერპული“ ბევრს უტევდა, ნიემი მაგრად იდგა.

1997	დორტმუნდი (გერმანია) — კრუზეირო (ბრაზილია)	2:0
1998	რეალი (ესპანეთი) — ვასკუ და გამა (ბრაზილია)	2:1
1999	მანჩესტერი (ინგლისი) — პალმეირასი (ბრაზილია)	1:0
2000	ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — რეალი (ესპანეთი)	2:1
2001	ბაიერნი (გერმანია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	1:0დ.დ.(0:0)
2002	რეალი (ესპანეთი) — ოლიმპია (პარაგვაი)	2:0
2003	ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — მილანი (იტალია)	1:1დ.დ.(პენ.3:1, 1:1)

ევროპა 20:22 სამხრეთ ამერიკა



REUTERS

გონიერებზე და დამრტყმელებზე

„ბოკა ხუნიორსი" 1977 და 2000 წლების ბედნიერ სეზონთა შემდეგ მესამედ გახდა მსოფლიოს საუკეთესო გუნდი. სრულიად საფეხბურთო პატაგონია მორიგ დიდ გამარჯვებას ზეიმობს, ხოლო ამ ფიესტას მთავარი ორგანიზატორი, ბოკელთა იღბლიანი დამრიგებელი კარლოს ბიანკი იქაურ მედიასთან შეხვედრისას თავის შეგირდთა ჩაუქ ბურთაობას განსაკუთრებით აღნიშნავს. ბიანკის სამხრეთამერიკული „კლარინი" ესაუბრა.

— რას გრძნობთ, როცა ყველაფერი დასრულდა და „ბოკა" უკვე მსოფლიოს ჩემპიონია?

— უზომო ბედნიერებას, რომელიც შეიძლება ვერც გადმოქცეთ. „ბოკა ხუნიორსი" ახლა ჩემთვის ყველაფერია. იტალიელებთან დამსახურებულად გავიმარჯვეთ, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. უფრო მეტსაც გეტყვით — „მილანი" შეხვედრის ძირითად დროში უნდა დაგვემარცხებინა.

— ესე იგი, გამოდის, რომ იტალიელებმა თამაში უკვე პენალტებამდე დათმეს...

— სრული ჭეშმარიტებაა. აშკარად ეტყობოდათ, რომ თავიანთ საუკეთესო შეხვედრას არ ატარებდნენ. ჩვეული ორგანიზებულობაც სადღაც დაკარგეს და ამით ჩემმა ბიჭებმა დიდებულად ისარგებლეს. საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება არ გახლავთ ისეთი შერკინება, სადაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეცდომებს პატიობენ.

— რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?

— დიდი ჯილდოს ხელში ჩასაგდებად ნებისმიერი გუნდისთვის ორი ძირითადი ფაქტორია საჭირო — გონიერი ფეხბურთელები და კარში შედეგიან დარტყმათა სიმრავლე. „ბოკა" ამ ორივე მოთხოვნას ასი პროცენტით აკმაყოფილებს.

— რას იტყვით მეკარე აბონდანსიერის შესახებ?

— გახსოვთ, შევჩენკოს ეპიზოდი? იმ დარტყმის მოგერიებამ ჩვენებზე ჯადოსნურად იმოქმედა. მერე თერთმეტმეტრიანების დროსაც გამოიჩინა თავი. რობერტო შესანიშნავი გოლკიპერია, გამარჯვებაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის.

— მატიას დონეტიმ მილანელებს თამაში თავიდან დააწყებინა...

— დონეტი იმ გოლით ახლა მთელი არგენტინის გმირი გახლავთ და მეც სიფრთხილე მმართებს მსგავსი პატივცემული პერსონის დახასიათებისას. ეს ხუმრობით, ისე კი მატიასმა ზედმიწევნით კარგად იცის, მოედნის რომელ კუთხეში სად და როდის უნდა გამოჩნდეს.

— ნიკოლას ბურდისოზე რას იტყვით?

— „მილანთან" შეხვედრაში თავისი ძალა დაამტკიცა. იგი ევროპელ თავდამსხმელებს უშიშრად შეებრძოლა და ეს ომი მოიგო კიდეც.

— ბოლოს კი კარლოს ტევესი, მასზე „ბოკა ხუნიორსის" ინჩასები დიდ იმედებს ამყარებდნენ...

— ტრავმამ კარლოსს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება არ მისცა, თუმც ვიმედოვნებ, რომ კლუბის ერთ-ერთი უსაჭიროესი მობურთალი მშობლიურ ინჩადას კვლავაც მრავალ სასიამოვნო წუთს აჩუქებს.

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი: XX ტური						
		16 დეკემბერი						
23.45	059	სტივენეიჯი-ალდერშოტი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
		გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური						
		16 დეკემბერი						
23.00	090	ვერდერი-პანსა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	091	ვერდერი-პანსა 0:1	2,05	3,2	2,45			
23.00	092	კიოლნი-ჰერტა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
23.00	093	აინტრახტი-პამბურგი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
23.00	094	ფრაიბურგი-ბაიერნი	3,8	3,2	1,9	1,73	1,26	1,19
		17 დეკემბერი						
23.00	095	შტუტგარტი-ლევერკუზენი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
23.00	096	პანოვერი-ბოხუმი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
23.00	097	მიუნხენი-მიონხენგლადბახი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.00	098	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	099	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი 0:1	1,95	3,2	2,6			
23.00	100	შალკე-ვოლფსბურგი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		გერმანია. II ბუნდესლიგა. XVII ტური						
		16 დეკემბერი						
21.00	102	დუისბურგი-არმინია	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
22.00	103	ოსნაბრიუკი-ობერჰაუზენი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
22.00	104	ნიურნბერგი-ალენი	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
	105	ნიურნბერგი-ალენი 0:1	2,1	3,2	2,35			
		17 დეკემბერი						
21.00	106	ტრიერი-მაინცი	3,0	3,1	2,25	1,52	1,28	1,3
21.00	107	ლიუბეკი-ფიურტი	2,45	3,0	2,7	1,34	1,28	1,42
22.00	108	უნტერჰახინგი-აუე	1,65	3,3	5,0	1,1	1,24	1,98
22.00	109	ალემანია-კარლსრუე	1,65	3,3	5,0	1,1	1,24	1,98
22.00	110	უნიონი-ბურგჰაუზენი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
		18 დეკემბერი						
23.15	111	რეგენსბურგი-კოტბუსი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
		საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური						
		17 დეკემბერი						
23.00	204	ვალანსი-გრენობლი	1,7	2,8	6,0	1,05	1,32	1,9
		ჰოლანდია. II დივიზიონი. XIX ტური						
		16 დეკემბერი						
23.00	254	ვეენდამი-დენ ბოსი	3,1	3,4	2,0	1,62	1,21	1,25
		ინგლისი. თასი. II ეტაპი						
		16 დეკემბერი						
23.45	331	ბარნსლი-ბრისტოლი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
23.45	332	კემბრიჯი-მაკლსფილდი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
23.45	333	მენსფილდი-უიკომბი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
		17 დეკემბერი						
23.45	334	უენსდი-სანთორპი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
		ინგლისი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი						
		16 დეკემბერი						
24.00	335	ბოლტონი-საუთჰემპტონი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
24.00	336	ვესტ ბრომვიჩი-არსენალი	3,3	3,3	2,0	1,65	1,24	1,24
		17 დეკემბერი						
23.45	337	ასტონ ვილა-ჩელსი	4,2	3,3	1,75	1,84	1,23	1,14
23.45	338	ტოტენჰემი-მიდლსბრო	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
		იტალია. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები						
		16 დეკემბერი						
18.00	345	პერუჯა-კოკეო	2,3	2,9	3,1	1,28	1,32	1,49
		17 დეკემბერი						
17.00	346	პარმა-ვენეცია	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
19.00	347	ლაციო-მოდენა	1,45	3,6	7,0	1,03	1,2	2,37
20.30	348	პალერმო-რომა	2,9	2,9	2,4	1,45	1,31	1,31
24.00	349	რეჯინა-ინტერი	3,5	2,9	2,1	1,58	1,31	1,21
		18 დეკემბერი						
17.15	350	იუვენტუსი-სიენა	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
20.30	351	უდინეზე-ბოლონია	1,7	3,1	5,0	1,09	1,26	1,91
23.45	352	მილანი-სამპდორია	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
		ესპანეთი. თასი. 1/16 ფინალი						
		16 დეკემბერი						
23.00	353	სელტა-ესპანიოლი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
23.00	354	ალავესი-სოსიედადი	2,6	3,1	2,45	1,41	1,26	1,36
00.30	355	ლეონესა-ატლეტიკო	6,0	3,6	1,5	2,25	1,2	1,05
00.30	356	ალბასეტი-ვილიარეალი	4,6	3,3	1,7	1,92	1,24	1,12
		17 დეკემბერი						
22.30	357	ლევანტე-მალიორკა	2,8	3,1	2,35	1,47	1,27	1,33
23.00	358	სალამანკა-სარაგოსა	2,6	3,1	2,45	1,41	1,26	1,36
23.00	359	სერესი-მალაგა	3,0	3,1	2,25	1,52	1,28	1,3
23.00	360	კორდობა-ბეტისი	3,0	3,1	2,25	1,52	1,28	1,3
23.15	361	ტორელავეგა-დეპორტივო	7,0	4,0	1,4	2,54	1,16	1,03
23.30	362	ეიბარი-რასინგი	2,7	3,1	2,4	1,44	1,27	1,35
00.30	363	ალმერია-ვალიადოლიდი	2,6	3,1	2,45	1,41	1,26	1,36
00.30	364	ვალენსია-მურსია	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
00.30	365	კადისი-ოსასუნა	3,0	3,1	2,25	1,52	1,28	1,3
00.30	366	სიუდადი-ბარსელონა	6,0	3,6	1,5	2,25	1,2	1,05
00.30	367	ლანსაროტე-სევილია	6,0	3,6	1,5	2,25	1,2	1,05
		18 დეკემბერი						
24.00	368	ლეგანესი-რეალი	8,0	4,6	1,3	2,92	1,11	1,01
		საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/8 ფინალი						
		16 დეკემბერი						
24.00	369	ლანსი-ბორდო	1,9	3,1	3,8	1,17	1,26	1,7
		17 დეკემბერი						
19.05	370	ლილი-სტ.ეტიენი	1,75	3,1	4,6	1,11	1,26	1,85
22.00	371	ნანტი-კლერმონი	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
22.00	372	ნიცა-მეცი	1,7	3,2	4,8	1,11	1,25	1,92
22.00	373	გენიონი-ბასტია	2,9	3,1	2,3	1,49	1,28	1,32
22.00	374	ლე მანი-სედანი	1,75	3,1	4,6	1,11	1,26	1,85
22.00	375	ტრუა-ოსერი	3,2	3,1	2,15	1,57	1,28	1,26
24.00	376	სოშო-მარსელი	2,2	3,1	3,1	1,28	1,28	1,55
		პორტუგალია. თასი. V ეტაპი						
		17 დეკემბერი						
19.00	377	სპორტინგი-სეტუბალი	1,15	5,6	14,0	1	1,06	4
19.00	378	პორტუ-მაია	1,05	8,0	25,0	1	1	6,06
19.00	379	ლეირია-მარიტიმუ	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
19.00	380	ნასიონალი-სალგეირუში	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
19.00	382	გიმარაეში-ნავალი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
19.00	383	ფეირეირა-პორტიმონენსე	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
19.00	384	რიუ ავე-ბეირა მარი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
19.00	385	ბელენენსეში-პენაფიელი	1,35	4,2	7,5	1,02	1,14	2,69
01.15	386	აკადემია-बენფიკა	5,6	3,8	1,5	2,26	1,18	1,07
		ჰოლანდია. თასი. 1/8 ფინალი						
		16 დეკემბერი						
23.00	387	სპარტა-როზენდალი	2,7	3,4	2,25	1,5	1,22	1,35
23.30	388	ჰსგ-ტილბურგი	1,2	5,3	11,0	1	1,08	3,57
		17 დეკემბერი						
23.00	389	ფეიენოორდი-ვიტესი	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
23.00	390	ჰერენვენი-ნაიმეგენი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
23.00	391	უტრეხტი-ვალვაიკი	1,75	3,4	4,0	1,15	1,21	1,83
23.45	392	აიაქსი-ბრედა	1,15	6,0	12,5	1	1,05	4,05
		ბელგია. თასი. 1/8 ფინალი						
		16 დეკემბერი						
23.30	393	გენეი-ლუვეე	3,0	3,2	2,2	1,54	1,26	1,3
		17 დეკემბერი						
23.00	394	ვესტერლო-ბევერენი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69
23.00	395	არიუგე-ვენტი	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66
23.00	396	ლიერსი-ბეერსხოტი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
23.00	397	ანდერლეხტი-ანტვერპენი	1,15	6,0	12,5	1	1,05	4,05
23.30	398	ჰეუსდენი-ლოკერენი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
		საბერძნეთი. თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები						
		17 დეკემბერი						
22.00	399	ირაკლისი-არისი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
23.15	400	პანათინაიკოსი-ოფი	1,15	6,0	11,0	1	1,04	3,88
		თურქეთი. თასი. 1/16 ფინალი						
		17 დეკემბერი						
15.00	401	ელაზიგი-რიზე	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
15.00	402	სუბათი-გაზიანთეფი	3,0	3,2	2,15	1,54	1,25	1,28
15.00	403	კონია-ადანა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
		ჰოკეი. ფინეთი						
		16 დეკემბერი						
20.30	1021	პელსინკი-პელიკანსი	1,35	5,0	5,0	1,06	1,06	2,5
20.30	1022	პაპეენლინნა-იოკერიტი	1,95	4,6	2,45	1,36	1,08	1,59
20.30	1023	ილვესი-ესპუი	1,55	4,8	3,4	1,17	1,06	1,99
20.30	1024	იუვესკილე-ტაპარა	2,3	4,6	2,1	1,53	1,09	1,44
20.30	1025	კერპეტი-ესპოო	1,55	4,8	3,4	1,17	1,06	1,99
20.30	1026	ტურკუ-სეიპა	1,3	5,0	6,0	1,03	1,06	2,72
		ჰოკეი. NHL						
		16 დეკემბერი						
04.00	1050	ალენდერსი-ნიუ ჯერსი	2,45	3,6	2,2	1,45	1,15	1,36
04.00	1051	ფილადელფია-კალგარი	1,65	3,8	3,8	1,15	1,15	1,9
04.30	1052	მონრეალი-ბისტონი	2,3	3,6	2,35	1,4	1,16	1,42
04.30	1053	პიტსბურგი-ბუფალო	2,5	3,4	2,25	1,44	1,18	1,35
04.30	1054	ტორონტო-ტამპა ბეი	1,75	3,8	3,3	1,19	1,14	1,76
04.30	1055	ატლანტა-ვაშინგტონი	1,8	3,5	3,3	1,18	1,16	1,69
05.00	1056	სტ.ლუისი-კოლამბუსი	1,5	4,0	4,8	1,09	1,14	2,18
05.00	1057	ნეშვილი-ვანკუვერი	2,4	3,6	2,25	1,44	1,16	1,38
07.30	1058	ლოს ანჯელესი-ედმონტონი	1,9	3,6	3,0	1,24	1,16	1,63
		კალათბურთი. NBA						
		16 დეკემბერი						
04.00	1171	ვაშინგტონი-იუტა	1,8	10,0	1,8	1,52	1	1,52
04.30	1172	მაიამი-ატლანტა	1,35	10,0	2,6	1,18	1	2,06
04.30	1173	ნიუ იორკი-გოლდენ სტეიტი	1,55	10,0	2,1	1,34	1	1,73
05.00	1174	მინესოტა-პოსტონი	1,5	10,0	2,2	1,3	1	1,8
05.00	1175	მემფისი-საკრამენტო	2,1	10,0	1,55	1,73	1	1,34
05.30	1176	ჩიკაგო-ორლანდო	1,7	10,0	1,9	1,45	1	1,59
06.00	1177	დენვერი-ნიუ ორლეანი	1,65	10,0	1,95	1,41	1	1,63
06.00	1178	ფინიქსი-სიეტლი	1,6	10,0	2,0	1,37	1	1,66
07.00	1179	პორტლენდი-მილუოკი	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		16 დეკემბერი		
23.00	5301	ვერდერი-პანსა	1,75	1,85
23.00	5302	კიოლნი-ჰერტა	1,6	2,0
23.00	5303	აინტრახტი-პამბურგი	1,6	2,0
23.00	5304	ფრაიბურგი-ბაიერნი	1,75	1,85
		17 დეკემბერი		
23.00	5305	შტუტგარტი-ლევერკუზენი	1,65	1,95
23.00	5306	პანოვერი-ბოხუმი	1,6	2,0
23.00	5307	მიუნხენი-მიონხენგლადბახი	1,65	1,95
23.00	5308	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი	1,75	1,85
23.00	5309	შალკე-ვოლფსბურგი	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		16 დეკემბერი		
23.00	5201	ვერდერი-პანსა	2,1	1,55
23.00	5202	კიოლნი-ჰერტა	1,95	1,65
23.00	5203	აინტრახტი-პამბურგი	1,9	1,7
23.00	5204	ფრაიბურგი-ბაიერნი	2,0	1,6
		17 დეკემბერი		
23.00	5205	შტუტგარტი-ლევერკუზენი	1,9	1,7
23.00	5206	პანოვერი-ბოხუმი	2,0	1,6
23.00	5207	მიუნხენი-მიონხენგლადბახი	1,9	1,7
23.00	5208	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი	2,1	1,55
23.00	5209	შალკე-ვოლფსბურგი	1,95	1,65

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შტრიხი ჯამებულად ჩაითვლება)

		16 დეკემბერი		
23.00	5401	ვერდერი-პანსა	1,3	3,4
23.00	5402	კიოლნი-ჰერტა	1,9	1,9
23.00	5403	აინტრახტი-პამბურგი	1,9	1,9
23.00	5404	ფრაიბურგი-ბაიერნი	2,3	1,65
		17 დეკემბერი		
23.00	5405	შტუტგარტი-ლევერკუზენი	1,65	2,3
23.00	5406	პანოვერი-ბოხუმი	1,75	2,1
23.00	5407	მიუნხენი-მიონხენგლადბახი	1,55	2,5
23.00	5408	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი	1,3	3,4
23.00	5409	შალკე-ვოლფსბურგი	1,5	2,6

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		16 დეკემბერი						
23.00	5001	ვერდერი-პანსა	1,75	2,5	5,6	1,02	1,33	1,72
23.00	5002	კიოლნი-ჰერტა	3,1	2,1	3,1	1,25	1,55	1,25
23.00	5003	აინტრახტი-პამბურგი	3,1	2,1	3,1	1,25	1,55	1,25
23.00	5004	ფრაიბურგი-ბაიერნი	4,4	2,15	2,3	1,44	1,51	1,11
		17 დეკემბერი						
23.00	5005	შტუტგარტი-ლევერკუზენი	2,3	2,1	4,6	1,09	1,53	1,44
23.00	5006	პანოვერი-ბოხუმი	2,6	2,1	3,6	1,16	1,5	1,32
23.00	5007	მიუნხენი-მიონხენგლადბახი	2,2	2,15	4,8	1,08	1,5	1,48
23.00	5008	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი	1,75	2,5	5,6	1,02	1,33	1,72
23.00	5009	შალკე-ვოლფსბურგი	2,1	2,15	5,3	1,06	1,5	1,52

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში			თანაბრად II-ში
		16 დეკემბერი				
23.00	5501	ვერდერი-პანსა	3,0	2,8	2,0	
23.00	5502	კიოლნი-ჰერტა	3,0	2,8	2,0	
23.00	5503	აინტრახტი-პამბურგი	3,0	2,8	2,0	
23.00	5504	ფრაიბურგი-ბაიერნი	3,0	2,8	2,0	
		17 დეკემბერი				
23.00	5505	შტუტგარტი-ლევერკუზენი	3,0	2,8	2,0	
23.00	5506	პანოვერი-ბოხუმი	3,0	2,8	2,0	
23.00	5507	მიუნხენი-მიონხენგლადბახი	3,0	2,8	2,0	
23.00	5508	დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი	3,0	2,8	2,0	
23.00	5509	შალკე-ვოლფსბურგი	3,0	2,8	2,0	

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

20.12	19.00	5601	ინგლისი ბლ (XVII)
16.12	23.00	5602	გერმანია ბლ (XVII)
20.12	21.00	5603	იტალია A (XIV)
20.12	20.30	5604	ესპანეთი Iდ (XVII)
19.12	24.00	5605	საფრანგეთი Iდ (XIX)
19.12	01.30	5606	პორტუგალია სლ (XV)
20.12	23.00	5607	ბელგია Iდ (XVII)

25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		16 დეკემბერი									
23.00	5101	ვერდერი-პანზა	1,9	12,0	25,0	3,4	4,8	12,0	20,0	11,0	11,0
23.00	5102	კიოლნი-ჰერტა	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
23.00	5103	აინტრახტი-პამბურგი	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	4,8	20,0	10,0	3,8
23.00	5104	ფრაიბურგი-ბაიერნი	6,0	10,0	20,0	7,0	4,4	3,8	20,0	10,0	2,8
		17 დეკემბერი									
23.00	5105	შტუტგარტი-ლევერკუზ.	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
23.00	5106	პანოვერი-ბოხუმი	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	20,0	10,0	4,6
23.00	5107	მიუნხენი-მ.გლადბახი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
23.00	5108	დორტმუნ.-კ.ლაუტერნი	1,8	15,0	30,0	3,4	4,8	12,0	20,0	12,0	12,0
23.00	5109	შალკე-ვოლფსბურგი	2,4	10,0	20,0	3,4	4,4	8,0	20,0	10,0	7,5

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაპაზუსტეთ

საქართველოს ჩემპიონატი

14 დეკემბერი. ბათუმი

ბასკო 88:80 დინამო

39:15, 13:25, 17:26, 19:14

ბასკო: ი. ბერიშვილი (18), ბ. ბერიშვილი (2), კეშელავა (17), ტუჯანი (24), ბერძენიშვილი (11); დ. ბერიშვილი (9), კვიმსაძე (6), იმნაძე, როდუმტა (1), ჩხატარაშვილი

დინამო: ტულუში (15), ხოშტარია (14), ბეჟანიშვილი (14), ჩუბინიძე (7), მუშკუდიანი (3); ჟღენტი (14), კეიდია (9), ლოსაბერიძე (2), მინაშვილი (2), გამყრელიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ბათუმური წყენა

აჭარელებმა საზღვარი გახსნეს და ლიდერობა თბილისელებისგან გამოიხსნეს

ირაკლი პერტაია ბათუმიდან

ბათუმში საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირება სურთ, საკალათბურთო ჩემპიონატისა კი არა. „ბასკოს" ზღვისპირეთში ისევე ქომაგობენ, როგორც აქამდე, ხალხი ძველებური ჟინითა და შემართებით უდგას გვერდში ძველ ჩემპიონს.

კვირა გამორჩეული დღე იყო ბათუმელთათვის, ქალაქს საჩემპიონო გვირგვინის წამრთმევი „დინამო" სტუმრობდა. ეს იყო ღირსების მატჩი. საჩემპიონო ტახტიდან ჩამოგდებულ „ბასკოს" „დინამოსთვის" უნდა დაენახებინა, რომ საკალათბურთო მზე თბილისიდან კი არა, ისევ ბათუმიდან ამოდის. თავის მხრივ, „დინამოსთვისაც" ძვირად ფასობდა ეს მატჩი, სხვა თუ არაფერი, ზამთრის ჩემპიონი ირკვეოდა, თანაც დრაჟენ ბრაიკოვიჩს ქართველ მწვრთნელთაგან მხოლოდ „ბასკოს" თავკაც ნუგზარ კანდელაკთან ჰქონდა უარყოფითი ბალანსი და ამ თამაშის მოგებით პირადი ანგარიშის გათანაბრება შეეძლო.

„რაის მწვრთნელია ბრაიკოვიჩი, რას ჰგავს მისი გუნდი" — გადაულაპარაკა ერთმა ბათუმელმა მეორეს პირველი მეოთხედის მიწურულს, როცა „ბასკომ" ლამის წალეკა „დინამო" და 24-ქულიან უპირატესობას მიაღწია — 39:15. ის იყო და იმ ბათუმელს ხორვატის მისამართით აუგი აღარ დასცდენია, რადგან თუ „რაის მწვრთნელია" ბრაიკოვიჩი, ეს მალე გამოჩნდა.

საერთოდ ტაქტიკაზე ლაპარაკი ძნელია, როცა ქართული გუნდები პაექრობენ, თუმცა ამ მატჩს შესამჩნევად აჩნდა მწვრთნელის ხელი. ბრაიკოვიჩი უფრო ხშირად ცვლიდა სათამაშო სქემას, რაკი აგებდა, კანდელაკი კი ხორვატის წამოწყებული ნოვაციის ანტივირუსს ეძებდა და წარმატებითაც.

პირველ მეოთხედში ჩემპიონი შეგეცოდებოდათ. მასპინძლები მყისიერად მიესივნენ თბილისელებს და ჯერ 8:0 დაწინაურდნენ, სამიოდ წუთში კი მათი უპირატესობა 10-ქულიან ზღვარსაც ასცდა. შენიშნა კიდეც ბათუმელთა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა, საწყისი მეოთხედი სასწაული იყო, რაც ვისროლეთ, ყველა ჩავარდაო.

ჩამგდებთაგან ირაკლი ბერიშვილმა ისახელა თავი. „ბასკოს" საწყისი 17 ქულიდან 11 სწორედ ტყუპისცალისა იყო, ვისაც არც ღვიძლი ძმა დავითი ჩამორჩა და საწყის 10-წუთეულში თავისიანთა ბოლო 8 ქულა მიითვალა.

პირველ მეოთხედში ჩემპიონის 24 ქულით დამარცხება სახუმარო საქმე არაა, „ბასკო" ძლიერი გუნდია, მაგრამ არც ისეთი, „დინამოს" პირველივე ათწუთეულში მოუთავოს საქმე. ამხელა უპირატესობის მიზეზი უთუოდ შინაური კედლები გახდა, სადაც 1000 კაცი, როგორც ერთი აქუხებდა — „ბასკო, ბასკო!"

მეორე ათწუთეულში დინამოელებმა საქმე გამოასწორეს. ირაკლი კეიდიას მარჯვე გარჯის წყალობით თბილისელებმა გვარიანად შეამცირეს ანგარიში, ხოლო ირაკლი ხოშტარიაც რომ ამოქმედდა, ბათუმელების „უსაზღვრო" უპირატესობიდან 7 ქულაღა დარჩა. „ბასკო" ამხელა ლიდერობის გაფლანგვით, წესით, უნდა არეულიყო, მაგრამ იყოჩაღა ლაშა კეშელავამ, შესაშური მონდომებით იბრძოლა მეტოქის ფარზე და ბათუმს გული საგულეს ჩაუყენა — 52:40 დიდი შესვენებისთვის.

გასახდელში ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ბრაიკოვიჩმა მეტად უცნაური და ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. დიდი შესვენებიდან „დინამო" ამ შემადგენლობით დაბრუნდა — ჟღენტი, ტულუში, ხოშტარია, კეიდია და ბეჟანიშვილი. როგორც ხედავთ, ამ ხუთეულში არათუ ცენტრი, თავდამსხმელიც არ გახლავთ. ანუ ბრაიკოვიჩმა ხელი ჩაიქნია ფარქვეშა თამაშზე და სულ კარგი მსროლელები გამოიყვანა, რომლებიც პერიმეტრზე მარაოსავით გაიშალნენ.

ცხადი იყო, ეს ხალხი სამქულიანებისთვის გამოვიდა მოედანზე. კანდელაკმაც მოხსნა ზონა და შეგირდებს პერიმეტრის გაკონტროლება დააკისრა. ბათუმელებმა მოახერხეს და თბილისელებს სამქულიანები არ ჩააყრევინეს, მაგრამ ერთ ხაზზე მდგარი „ბასკოს" დაცვა არაეფექტური გამოდგა ფეხმარდი დინამოელების გარღვევების შესაკავებლად. კანდელაკის შერჩეული გეგმა უპირატესად სამქულიანების არმიღებას ისახავდა მიზნად, აკი თქვა კიდეც ნამატჩევს „ბასკოს" თავკაცმა — „როცა დიდი სხვაობით იგებ, მთავარია, მეტოქეს სამქულიანები არ ჩააყრევინო და ჩვენი მიზანიც ეს იყო. ბიჭებს ვუთხარი, ოღონდ პერიმეტრი გადაკეტეთ და თუ ორქულიანებს ჩაგვიყრიან, ამაზე ნუ იდარდებთ-მეთქი."

„დინამოც" ვერ ხეირობდა შორიდან, მაგრამ არჩილ ჟღენტი იმდენჯერ შეიპარა მეტოქის ფარქვეშ, რომ ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში სამ ქულამდე შემცირდა. როცა კოტე ტულუშმა მორიგი სროლა ჩააგდო, „ბასკოს" 24-ქულიანი უპირატესობიდან ქულაღა დარჩა — 69:68. ფსიქოლოგიური უპირატესობა სტუმრებისა იყო. ბათუმელებს დაცვაში დგომა არ არგებდათ, თავად უნდა შეეტიათ. ხსნა ერთი იყო — ტანმაღალი დავით ბერძენიშვილი, რომელსაც მომცრო ზურაბ ჩუბინიძე მეურვეობდა.

„ბერძენას" პასით მომარაგებას ხან ახერხებდნენ ბათუმელები და ხან ვერა. როცა ბუბა კვიმსაძე გახსნილ ბერძენიშვილს ვერ მონახავდა, თავად უტევდა და არცთუ უშედეგოდ. თუმცა ბათუმელთათვის ხსნა სულ სხვა მხრიდან მოვიდა — შესაშურ ფორმაში მყოფმა ჟოლიეტ ტუჯანიმ, რომელიც მთელი თამაში „დაფრინავდა", ბოლო წუთებში სამაგალითოდ ითამაშა. კამერუნელის აქილევსის ქუსლი საშუალო სროლებია, დინამოელებიც გამუდმებით ჯარიმდებოდნენ ჟოლიეტზე, მაგრამ გუშინწინ ის თითქმის არ ცდებოდა.

დინამოელთა მრავალი მცდელობის შემდეგ ბეჟანიშვილმა როგორც იქნა, ჩააგდო სამქულიანი და საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე ჩემპიონი 77:81 აგებდა. სწორედ აქ იყოჩაღა კამერუნელმა — ჯერ თავად ჩააგდო ორი საჯარიმო, შემდეგ ბერძენიშვილის აცილებულს დაამატა და როცა დინამოელთა ყავლგასული სამქულიანებიც ველარ პოულობდნენ ადგილს ბათუმელთა კალათში, დასრულებამდე წუთნახევრით ადრე ყველაფერი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა...

სირენა და ხალხის მოედანზე გაცვენა ერთი იყო. „ბასკო" ჩემპიონის ძლევას და ზამთრის ჩემპიონობას ზეიმობდა...



ბურაგ დელინეკაშვილის ფოტო

სტუ — თსუ-ს სტუ-ელი არმენ ოგანესიანი თავის „მუდმივ" მეტოქეს თსუ-ელ კახა შენგელიას უფარებს

13 დეკემბერი. ვერის ბაღი

სტუ 97:90 თსუ

24:20, 27:23, 20:24, 26:23

სტუ: ნიკოლაძე (16), ხეცურიანი (15), მარკოიშვილი (14), ლ. შანიძე (8), ოგანესიანი (15); დავითულიანი (16), მიქაძე (10), ახალკაცი (3)

თსუ: თორთლაძე (16), მაისურაძე (12), ნაცვლიშვილი (21), ვ. კილაძე (10), შენგელია (12); მარხვაშვილი (8), ორმოცაძე (7), კოკოლიშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

სსუ 53:81 რუსთავი

17:21, 10:20, 12:16, 14:24

სსუ: პატარაია (3), სორდია (9), კანკია (10), ერქვანია (11), აბულაძე (6); ზანგურაშვილი (5), ბალათურია (3), ლ. ონიკაშვილი (2), ლუკავა (2), ფარლალავა (2), ქვილითაია

რუსთავი: არწივიძე, გოგობერიშვილი (6), დანელიანი (8), ბერუაშვილი (12), ტყეშელაშვილი (8); ჩაჩუა (18), ჭოჭუა (3), ჩხეიძე (4), ლიპარტელიანი (5), ჯიმშელეიშვილი (16), კ. კილაძე (1)

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS პორტლენდიდან

კარლ მელოუნის ახალგაზრდულმა შემართებამ „ლეიკერსი" ვლადიმერ სტეფანიას „პორტლენდისგან" ვერ იხსნა

12 დეკემბერი

ორლანდო 95:99 ნიუ ჯერსი

ორლანდო: ლუ (6), გირიჩეკი (11), მაკგრეიდი (20), ჰოვარდი (20), დეკლერკი (2); გუდენი (19), უილიამსი (7), სტრიკლენდი (4), ჰარვი (4), ფაჩულია (8 წუთი, 2 ქულა)

ნიუ ჯერსი: კიდი (8), კიტლზი (22), ჯეფერსონი (19), მარტინი (16), კოლინზი (8); უილიამსი (11), ჰარისი (8), როჯერსი (5), ჰეკი (2), სკალაბრინი

ფილადელფია 77:86 დენვერი

ფილადელფია: სნოუ (14), აივერსონი (18), რობინსონი (6), ტომასი (19), კოულმენი (2); მაკკი (10), დალემბერტი (8), სალმონსი, მაკკასკილი

დენვერი: მილერი (23), ლენარდი (13), ენტონი (15), ნენე (12), კემბი (16); ბოიკინსი (4), ბერი (3), ანდერსენი, ბოუენი, ელსონი

ცძიტიშვილი სათადარიგო იყო

ბოსტონი 114:111 ტორონტო

ინდიანა 103:92 ატლანტა

დეტროიტი 72:93 სიეტლი

იუტა 93:100 საკრამენტო

გოლდენ სტეიტი 85:96 ნიუ ორლეანი

ვაშინგტონი 91:110 მინესოტა

მაიამი 91:88 მემფისი

მილუოკი 109:95 ჩიკაგო

ლეიკერსი 93:110 დალასი

13 დეკემბერი

ნიუ იორკი 95:88 დენვერი

ნიუ იორკი: ეისლი (4), ჰიუსტონი (15), ვან ჰორნი (16), მაკდაიესი (15), მუტომბო (13); ანდერსონი (9), დოლიკი (8), უილიამსი (8), ვეზერსპუნი (4), ვორდი (3)

დენვერი: მილერი (15), ლენარდი (17), ენტონი (25), ნენე (8), კემბი (12); ბოიკინსი (4), ანდერსენი (3), ცძიტიშვილი (2 წუთი, 2 ქულა), ბოუენი (2), ელსონი, ბერი

ატლანტა 102:105 ორლანდო

ატლანტა: ვონი (4), ტერი (15), ჯეკსონი (20), აბდურ-რაჰიმი (25), რეთლიფი (7); გლოვერი (19), მუჰამედი (8), ნეილონი (4)

ორლანდო: უილიამსი (15), გირიჩეკი (7), მაკგრეიდი (30), ჰოვარდი (20), დეკლერკი (2); გუდენი (12), სტრიკლენდი (8), ფაჩულია (18 წუთი, 7 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება, 1 პასი), ჰარვი (4)

პორტლენდი 112:108 ლეიკერსი

პორტლენდი: სტუდემაიერი (25), მაკინისი (8), ვოლესი (28), რენდოლფი (24), დევისი (8 ქულა, 14 მოხსნა); პატერსონი (11), პერსონი (6), სტეფანია (7 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება), ვუდსი

ლეიკერსი: პეიტონი (14), ბრაიანტი (35), ჯორჯი (7), მელოუნი (14), ონილი (22); რასელი (8), მედვედენკო (6), გრანტი (2), ფიშერი

კლივლენდი 98:105 ბოსტონი

ჩიკაგო 86:75 ინდიანა

მემფისი 110:63 ნიუ ჯერსი

სან ანტონიო 86:75 ჰიუსტონი

კლიპერსი 106:91 ფინიქსი

14 დეკემბერი

ტორონტო 89:90 მაიამი

ფილადელფია 86:94 იუტა

საკრამენტო 107:102 ფინიქსი

სიეტლი 108:102 მილუოკი

ნიუ იორკი 89:87 ვაშინგტონი

რაც მოგივა დავითაო...

ქართული კალათბურთი „გარეშე მტრებს" ვერ დაადანაშაულებს თავის უსუსურ ყოფიერებაში. თუნდაც იმაში, რომ დღეს საქართველოს ნაკრები ორად გაყოფილი სანაკრებო ევროპის სუსტ ნახევარშია და სულ 50-ქულიანი გამარჯვებებიც რომ „ბმოაგდოს", საუკეთესო შემთხვევაში ევროფინალში 2007 წელს თუ ითამაშებს. ეს მთლიანად ქართული კალათბურთის ბრალია და ამ სახეობამ თავად უნდა გამოიხსნას თავი შესარჩევი სისტემის აბლაბუდიდან. დღეიდან ფედერაციამ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას, რაკი გამოვლინდნენ ჩვენი უახლოესი მეტოქეები, ესენი ჩვენსავით ევროკალათბურთის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან

რა დონეა? მაკედონია
საქართველოს პირველი მეტოქეები დაინახა

13 დეკემბერს ბელგრადში საქართველოს ნაკრების ის მეტოქეები დასახელდა, რომელთა ძლევის შემდეგაც ძლიერებში ანაცვლების შანსი ჩნდება. საჭიროა „მხოლოდ" კიდევ ერთი, დაახლოებით ჩვენი წონის გუნდის დამარცხება. ამ ეტაპის წარმატებით გავლა საქართველოს ნაკრებს 2007 წლის ევროპირველობის შესარჩევში მიგვიყვანს.

2005 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ნაკრები დაბალი რეიტინგის გამო ვერ მიიღებს მონაწილეობას.

სულ ევროპის „ქვედა ნახევარში" 16 დაბალრეიტინგიანი ნაკრებია. ამათგან 2005 წელს გამოვლინდება ორი საუკეთესო, რომლებიც ზემო, A კატეგორიის გუნდებში აინაცვლებენ და, როგორც ვთქვით, მერელა იბრძოლებენ ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

მაშ ასე, საქართველოს მეტოქეები D ჯგუფში არიან ლუქსემბურგი, ფინეთი და, რაც მთავარია, მაკედონიის ძლიერი, უფრო კი გამოცდილი გუნდი. D ჯგუფში საუკეთესო (სავარაუდოდ მაკედონია ან საქართველო) პლეი ოფში დაეჯახება B ჯგუფის რჩეულს (ირლანდია, სლოვაკეთი, შვეიცარია ან მალტა). გამარჯვებული აინაცვლებს „მაღალ ევროპაში" და იმონაწილეებს ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ასე შეაფასა კენჭისყრის შედეგები:

„საკმაოდ რთული ჯგუფია, ჩვენი მთავარი მეტოქე მაკედონია იქნება. ისე კი, არც ფინეთია ხელწამოსაკრავი. მაკედონიელებს ოთხი ძლიერი კალათბურთელი ჰყავთ, რომლებიც ევროლიგაში თამაშობენ. ჩვენი ნაკრების მწვრთნელ დრაჟენ ბრაიკოვიჩს უკვე ველაპარაკე, მისთვის პრობლემა არ იქნება მაკედონიელთა თამაშების ვიდეოკასეტების შოვნა. ის ხორვატიაში მიემგზავრება საახალწლოდ და მაკედონიის ნაკრებზე გარკვეულ ინფორმაციას შეაგროვებს...

ჩვენი დიდი სურვილია, რომ ჯგუფიდან გავიდეთ. თუ ეს მოვახერხეთ, პლეი ოფში ალბათ აღარ გაგვიჭირდება. კალათბურთის ფედერაციაც ყველაფერს გააკეთებს, რათა ნაკრების მწვრთნელის მოთხოვნები შესრულდეს...

სიტყვიერი შეთანხმება უკვე გვაქვს ნბა-ს ქართველებთან. ისინი მზად არიან ნაკრებში ჩამოსასვლელად თუ რამე პრობლემა წარმოიშვა, თავად ჩავალ ამერიკაში და სამივე კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები."

„ამერიკელთა" ჩამოყვანასთან დაკავშირებულ პროცედურაზე უფრო დაწვრილებით გვესაუბრა ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი: „არიან ამერიკული სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც კონკრეტულად ამ კუთხით მუშაობენ, აზღვევენ სპორტსმენებს და მათი დაშავების შემთხვევაში კლუბს თავად უხდიან კომპენსაციას. სადაზღვევო თანხა სპორტსმენის კონტრაქტის ოდენობაზეა დამოკიდებული. ჩვენს შემთხვევაში სამივე ამერიკელი ლეგიონერის დაზღვევა, სავარაუდოდ 50 ათასი დოლარი დაჯდება. მალე შევარჩევთ კომპანიას და მოლაპარაკებასაც დავიწყებთ."

ირაკლი ბერტაია

2004 წელი
11 სექტემბერი
საქართველო — ფინეთი
ლუქსემბურგი — მაკედონია
15 სექტემბერი
ფინეთი — ლუქსემბურგი
მაკედონია — საქართველო
18 სექტემბერი
ლუქსემბურგი — საქართველო
ფინეთი — მაკედონია
2005 წელი
3 სექტემბერი
მაკედონია — ლუქსემბურგი
ფინეთი — საქართველო
7 სექტემბერი
საქართველო — მაკედონია
ლუქსემბურგი — ფინეთი
10 სექტემბერი
საქართველო — ლუქსემბურგი
მაკედონია — ფინეთი

EURO 2007-ის შესარჩევი

პლეი ოფი

B1	D1
B ჯგუფი	**D ჯგუფი**
ირლანდია	ლუქსემბურგი
სლოვაკეთი	ფინეთი
შვეიცარია	მაკედონია
მალტა	საქართველო

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი

აკადემიამ ყოჩებს ყურზე ხახვი ვერ დააჭრა

მცირე ფინალი

13 დეკემბერი
თბილისი. „ლოკომოტივი"

ყოჩები 21:15 აკადემია-იმედი L

ყოჩები: გ. სოხაძე, შუბითიძე, კაჭარავა, ავლოხაშვილი, ფაილოძე, თ. სოხაძე, გიორხელიძე; ურუშაძე, მალაღურაძე, ჯორჯაძე (ცხადაძე), ჩიკვაიძე, ყალიჩავა, ფირიაშვილი, ალიმბარაშვილი, ჭავჭავაძე

7ს: თ. სოხაძე;

აკადემია-იმედი L: სუთიძე, ქავთარაშვილი, ელიზბარაშვილი, პინჩუკოვი, მაჩხანელი, კიკნაძე, ქოპილაშვილი; პაპაშვილი, ნატრიაშვილი (ჭელიძე), მინაშვილი, უჩავა, ნებულიშვილი, ბალახაშვილი, ბალანჩივაძე, ღლონტი

5ს: კიკნაძე;

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

გაგა ჯორჯაძემ „ყოჩების" გამარჯვებას ლამის ყური შესწირა

საქართველოს ჩემპიონატის ფინალში — თანდათან „ბზის თასის" ფინალის სახელს რომ იმკვიდრებს — ერთმანეთს თბილისური „ლოკომოტივი" და „ყოჩები" შეებმებიან.

„ბზის თასის" ახალი პატრონის ვინაობა მომავალ უქმეებზე ვაკეში გაირკვევა. ამ უქმეებზე კი მეორე ფინალისტი გამოავლინა მცირე ფინალმა — „ყოჩებმა" უდაძაბულესი ჯახი მოუგეს „აკადემია-იმედი L-ს" და „ლოკომოტივთან" გადამწყვეტი შემბის უფლება მოიპოვეს.

მატჩი ისეთი იყო, ორივე გუნდი დაგენანებოდათ მარცხისთვის, ორივემ ბოლომდე იომა, ეგაა, ლელო არ გასულა. ულელოო ჯახის ბედი კი, რაგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, ახლაც დამრტყმელებმა გადაწყვიტეს.

„ჯონი! ჯონი!" — ასეთი შეძახილებით გააცილეს მოედნიდან ყოჩი თემურ სოხაძე, რომელმაც რვიდან შვიდი ჯარიმა გაიტანა და ოცდაერთივე ქულა მარტომ მოუნაგრა მისიანებს. ჰოდა, რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ უმცროსი სოხაძე უილკინსონს შეადარეს ყოჩელთა აღტკინებულმა ქომაგებმა. ცნობისათვის, უილკინსონიც და სოხაძეც 25 მაისს არიან დაბადებულები.

აკადემიელებს ვერც ავსტრალიაში ნაწრთობმა ბორჯღალოსნებმა — არჩილ ქავთარაშვილმა და ირაკლი მაჩხანელმა უშველეს. ამ ფეხმარდმა მოიერიშეებმა ორიოდ ეპიზოდში წაიდრიბლინგეს, მაგრამ მეტოქის მბოჭავებმა მალევე გაანეიტრალეს აკადემიელთა ფრთები. და საერთოდაც „ყოჩების" მბოჭავებმა და მლეტელებმა მაგრად იმუშავეს, მეტადრე რატი ურუშაძემ, ვინც მეტოქის და თავისიანთა აუტები ბლომად მოიგო და გაგა ჯორჯაძემ, რომელსაც ჯგლეთაში ყური მოეხა, მაგრამ თავპირდასისხლიანებული ისევ იმ ხორცსაკეპში შესაბრუნებლად იწევდა.

თავად მატჩში სამჯერ გათანაბრდა ანგარიში. ჯერ 3:3, მერე სოხაძემ 12:3 წინ წასწია „ყოჩები", მაგრამ აკადემიელთა დამრტყმელმა დათო კიკნაძემ მეორე ტაიმის დებიუტში 12:12 გაათანაბრა. ამის შემდეგ სოხაძემ და კიკნაძემ თითო ჯარიმაც გაცვალეს და როცა ტრიბუნებზე დამატებით დროზე ალაპარაკდნენ, „ყოჩების" „უილკინსონმა" თავის მორკინალთა ნაწვალებ-ნაჯაჯგერალი ორი ჯარიმა ქულებად გარდასახა და „აკადემიას" პრაქტიკულად იქვე მოუმთავრა საქმე. დარჩენილ ხუთ წუთში აკადემიელებს მარტო ლელო შველოდათ, მაგრამ „ყოჩმა" რატი ურუშაძემ ორჯერ ჩაუშალა სალელოე შეტევა, ყოჩთა სხვა დამცველებიც კვდლად აღიმართნენ და ფინალამდე არ მიუშვეს გაცილებით მძლავრი შემადგენლობის მყოლი მეტოქე.

„ყოჩების" „უილკინსონმა" თემურ სოხაძემ „აკადემიასთან" აკადემიურად ურტყა

გადასასვლელი მატჩები

საპასუხო მატჩები

— 14 დეკემბერი. თბილისი —

ლელო 38:13 უნივერსიტეტი

(პირველი მატჩი 21:9)

— 14 დეკემბერი. ქუთაისი —

აია 29:16 დათვები 2

(პირველი მატჩი 29:10)

გაირკვა უმაღლეს ლიგაში დამრჩენ-წამსვლელი გუნდებიც. ზედა ლიგის ორი აუტსაიდერი „ლელო" და „დათვები 2" ქველიგელებთან ორმატჩა პლეი ოფში არკვევდნენ ურთიერთობას.

აქედან ის გამოვიდა, რომ ლელოელებმა შეინარჩუნეს უძლიერესებში ადგილი, ქვეყნის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა ბათუმის „დათვები 2-მა" კი სეზონი ისე ჩაამთავრა, ერთხელაც ვერ მოიგო და თავისი ადგილი ფერფლიდან აღმდგარ ქუთაისის „აიას" დაუთმო.

აიელები ერთწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდნენ ზეექვსეულს.

გაჩო სვანიძე

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

ხორვატია. 2-14 დეკემბერი

ნახევარფინალი

საფრანგეთი 28:26 უკრაინა

ძირითადი დრო 25:25

უნგრეთი 40:38 კორეა

მესამე ადგილისთვის

კორეა 31:29 უკრაინა

ფინალი

საფრანგეთი 32:29 უნგრეთი

ძირითადი დრო 28:28

საფრანგეთი: ნიკოლი, ჟაკე (გაიტანა 5 გოლი), ლეჟონი (4), როლან-პეკიო (4), კანო (4), ტერვე (4), დელერსი (1), კორფანტი (4), ვოგენი (3), მიარო (2), ვენტლინგი (1), ჰერბრეჰტი, სენდიე, დუძიაკი

მწვრთნელი: ოლივიე კრუმბოლცი

უნგრეთი: პალინგერი, გორბიცი (4), ფერლინგი (3), პინიცკი (2), ლოვაცი (2), კირშნერი (1), ბოჰუსი, რადულოვიჩი (13), კულჩარი (3), ფარკაში (1), სიტი, ტოტი

მწვრთნელი: ლაიოშ მოკსაი

REUTERS ზაგრებიდან

ფრანგი ქალები სახარულისგან გაგორდნენ

დამატებითი დროის გმირი

ნახევარფინალში გასული ოთხეულიდან ყველაზე ტიტულიანი იყო კორეა, რომელმაც ერთხელ (1995) უკვე მოასწრო გაჩემპიონება. უნგრელთა მონაგარი სიდნეის (2000) ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონობაა, ფრანგებისა — შარშანდელი ევროპირველობის ბრინჯაოს მედლები. ასეთ სოლიდურ კომპანიაში უჩინ-უმედლო უკრაინელები დილეტანტები ჩანდნენ და მათ გათამაშების ამ ეტაპამდე მიღწევაც დიდ წარმატებად ჩაეთვალათ.

სლავგოგოებმა, მართალია, ორივე დასკვნითი მატჩი წააგეს, მაგრამ თავი არ შეურცხვენიათ, ბოლომდე ჯიგრით იბრძოლეს და მსოფლიოს ახალ ჩემპიონებთან მხოლოდ დამატებით, მესამე ტაიმში დაყარეს ფარ-ხმალი. ფრანგებთან მათი დაპირისპირება გამორჩეულად დაძაბულ-დრამატული გამოდგა. უკრაინელები დასაწყისში აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ, თავიდანვე დაწინაურდნენ და 23-ე წუთისთვის უპირატესობა ხუთ ბურთამდეც გაზარდეს — 12:7. ტაიმის მიწურულს სხვაობა კი შემცირდა — 13:10, მაგრამ შესვენების შემდეგაც კარგა ხანს ანგარიში უკრაინას მიჰყავდა. მოწინააღმდეგემ მხოლოდ მე-40 წუთზე მოახერხა გათანაბრება(17:17) ვეტერანების, ლეილა ლეჟონისა და ესტელ ვოგენის ზუსტი ტყორცნებით, ხოლო მომდევნო ხუთ წუთში ფრანგები პირველად გავიდნენ წინ — 20:19 და ბოლომდეც ინარჩუნებდნენ ლიდერობას. საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე იანა ხრიჰოლიუნასმა თანაფარდობა კი აღადგინა, მაგრამ ოვერტაიმში უკრაინელებს ძალა აღარ შერჩათ. მატჩის ბედი მას შემდეგ გადაწყდა, რაც 29 წლის ტანმორჩილმა (164სმ) სტეფანი კანომ დამატებთი ათწუთეულის მიწურულს ორი უპასუხო გოლი გაიტანა.

უნგრელებმაც ექსჩემპიონ კორეას ორი ბურთით სძლიეს, ოღონდ ამჯერად ოვერტაიმი საჭირო არ გამხდარა.

უმწვავესად წარიმართა საფრანგეთ — უნგრეთის საფინალო შეხლაც. ჩემპიონის გამოსავლენად 60-წუთიანი რეგლამენტი საკმაო არ აღმოჩნდა და საქმის გარჩევა ისევ დამატებით დროში გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები შარშანწინდელ ტურნირშიც დაეჯახნენ ერთმანეთს, თუმც მხოლოდ სამეხუთეადგილოდ. ის თამაში ოვერტაიმში ფრანგებმა მოიგეს — 31:30. მათ ახლაც იძალეს, თუმც ისევ გაჭირვებით, მხოლოდ დამატებულ წუთებში.

გადამწყვეტი მატჩი ზაგრებში, 10 000 მაყურებლის დასწრებით ფრანგებმა ენერგიულად დაიწყეს და ანგარიშიც წაიყვანეს — 3:1, მაგრამ უნგრელებმა, რომლებიც ფავორიტებად ითვლებოდნენ, ათ წუთში ზედიზედ შვიდი გოლით სოლიდური მარაგი შეიქმნეს — 8:3. ტაიმის ბოლოს ფრანგებმა ჩამორჩენა ოდნავ შეამცირეს — 8:11, მაგრამ მადიარებმა ძირითადად თავიანთ მთავარმეგოლე ბოიანა რადულოვიჩის ჯანიანი მაჯის წყალობით შესვენების შემდეგ პრაქტიკულად გამარჯვების ტოლფასი უპირატესობაც მოიპოვეს — 25:18. ოქროს მედლების ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ დარჩენილ სულ რაღაც რვა წუთში ამხელა ფორა თვალსა და ხელს შუა გაფლანგეს — 28:28, ოვერტაიმში კი ფრანგების შეჩერება შეუძლებელი გახდა. თანაც ისიცაა სათქმელი, რომ ხელებჩამოყრილმა და ფსიქოლოგიურად გატეხილმა უნგრელებმა ბოლო ათ წუთში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს.

ცხადია, მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის ტრიუმფატორ ფრანგთა მთელი გუნდია საქები, თუმც მაინც გამორჩეულად ფინალური შეხვედრის გმირები — მეკარე ნიკოლი, ვენდლინგი და ლეჟონი. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის სიმბოლურ ვარსკვლავთნაკრებში შევიდა ფინალური შეხვედრის ოთხი მონაწილე: ვალერი ნიკოლი (28 წლის) და იზაბელ ვენდლინგი (32), სლოვენიელი ტანია ოდერი (28), კორეელი ვო სუნ-ჰი (25), უკრაინელი ოლენა ციგიცა (28) და ორი უნგრელი, ანიტა გორბიცი (20) და 97 გოლით ტურნირის მთავარი ბომბარდირი ბოიანა რადულოვიჩი (30).

ბოლოს კი იმაზეც, რომ საგაისო, ათენის ოლიმპიადის მეხუთე საგზური მოიპოვა ესპანეთმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ნორვეგიელთა ძლევით — 27:26.

გია ახალაძე

რეგულარული ჩემპიონატი

12 დეკემბერი	13 დეკემბერი	
კოლუმბუსი 2:3 სენტ ლუისი	**ვაშინგტონი 1:5 დეტროიტი**	**ნეშვილი 2:2 ფლორიდა**
0:2 1:0 1:0 0:1	*1:1 0:2 0:2*	*1:0 1:2 0:0 0:0*
ნიუჯერსი 3:3 ფილადელფია	**აილენდერსი 4:0 ატლანტა**	**სენტლუისი 2:1 ლოს ანჯელესი**
2:0 0:2 1:1 0:0	*0:0 0:0 4:0*	*2:0 0:1 0:0*
ალტანტა 6:3 პიტსბურგი	**ოტავა 2:3 ბოსტონი**	**კალგარი 1:1 კოლორადო**
2:1 2:2 2:0	*2:1 0:1 0:1*	*0:0 1:0 0:1 0:0*
ფლორიდა 4:2 მონრეალი	**ფილადელფია 0:2 ნიუ ჯერსი**	**სან ხოსე 2:0 ანაჰაიმი**
0:2 1:0 3:0	*0:0 0:1 0:1*	*1:0 0:0 1:0*
ბუფალო 1:3 რეინჯერსი	**ტორონტო 3:1 რეინჯერსი**	14 დეკემბერი
0:1 0:1 1:1	*1:1 1:0 1:0*	**ჩიკაგო 1:1 დალასი**
დალასი 1:0 ჩიკაგო	**პიტსბურგი 5:3 კოლუმბუსი**	*1:0 0:1 0:0 0:0*
0:0 0:0 1:0	*2:2 2:1 1:0*	**ანაჰაიმი 2:3 ედმონტონი**
ედმონტონი 3:3 ფინიქსი	**ტამპა 2:5 მონრეალი**	*1:1 0:1 1:1*
0:1 2:0 1:2 0:0	*1:2 0:2 1:1*	**ვანკუვერი 2:1 კაროლინა**
	მინესოტა 3:2 ბუფალო	*0:0 0:1 1:0 1:0*
	1:1 0:0 2:1	

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

24 დეკემბერს თბილისში, შერატონ მეტეხი-პალასში გაიმართება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყოველწლიური საანგარიშო სესია. *დასაწყისი 12:00.*

ძიუდო შინაურულად დამთავრდა

ძიუდოისტებმა არმიის სპორტკომპლექსში საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარეს და ეს ხვავიანი სეზონიც დაასრულეს. შიდა პირველობის ძირითადი დანიშნულება საგაისო სალიცენზიო ტურნირებისთვის გუნდის შეკვრა იყო, მაგრამ შაბათ-კვირას ნაკრების უმთავრეს კანდიდატთაგან ხალიჩაზე თითო-ოროლა თუ გავიდა. ზოგს ხელი ტრავმამ შეუშალა, ზოგმაც ჭარბი წონის დაკლება არ ჩათვალა აუცილებლად.

ძირითად კონკურენტთა ერთადერთი უშუალო შერკინება 81 კილოგრამში შედგა, სადაც ფინალში ევროპამოვლილი დავით ნადარაია გრიგოლ შინჯიკაშვილს დაეჭიდა. ჩემპიონობა შინჯიკაშვილს დარჩა, მაგრამ ეს მის საბოლოო გამარჯვებას მაინც არ ნიშნავს. ნაკრების მწვრთნელი უახლოეს საერთაშორისო ტურნირებზე ამ ორივეს წაყვანას აპირებს.

დანარჩენ წონებში გამოსარჩევი ორი ახალი სახის გამოჩენაა. ჭიათურელმა ხვიჩა ხუციშვილმა (73კგ) და ბათუმელმა ვახტანგ ზოიძემ (+120კგ) ლამაზი ჭიდაობით შოთა ხაბარელის ყურადღება პირველივე შეხვედრებში მიიქციეს და ნაკრების კანდიდატთა სიაშიც ჩაეწერნენ.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო ბათუმელ ძიუდოისტთა წარმატებული გამოსვლა. ზღვისპირეთში თბილისიდან შარშანწინ ჩასულმა მწვრთნელმა სულიკო ფეიქრიშვილმა რომ კარგი სკოლა ჩამოაყალიბა, მისი შეგირდების მიერ მოპოვებული ორი ვერცხლიც მრწმობს. ზოიძის გარდა ფინალში ფეიქრიშვილის ვაჟმა ლაშამაც (100კგ) იჭიდავა. ბათუმელთა პროგრესის ფონზე, აშკარად ჩააგდო ჩემპიონატი ქუთაისის სკოლამ. მდიდარი ტრადიციების ქალაქი ამჯერად უმედლოდ დარჩა.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს ჩემპიონატი

60კგ
1. ვახტანგ ხოსიტაშვილი (საგარეჯო)
2. დავით სვიმონიშვილი (საგარეჯო)
3. გიორგი შოშიაშვილი (თბილისი)
3. ლაშა სარდანაშვილი (თბილისი)

66კგ
1. ზაზა კედელაშვილი (დედოფლისწყარო)
2. მინდია ხომიზური (თბილისი)
3. იური ომაძე (გორი)
3. დავით უძილაური (თელავი)

73კგ
1. დავით გოდაველი (თბილისი)
2. ხვიჩა ხუციშვილი (ჭიათურა)
3. მანუჩარ მურადაშვილი (გორი)
3. ლევან სულხანიშვილი (თბილისი)

81კგ
1. გრიგოლ შინჯიკაშვილი (მარტყოფი)
2. დავით ნადარაია (თბილისი)
3. საბა გვაშელიშვილი (დედოფლისწყარო)
3. ლევან წიკლაური (დედოფლისწყარო)

90კგ
1. მინდია გოდაველი (თბილისი)
2. თედო აბელაშვილი (თბილისი)
3. კახაბერ მურაჩაშვილი (ქარელი)
3. სოსო პავლიაშვილი (გორი)

100კგ
1. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო)
2. ლაშა ფეიქრიშვილი (ბათუმი)
3. ლევან რაზმაძე (დუშეთი)
3. იოსებ ქანთარია (თბილისი)

+120კგ
1. ლაშა გუჯეჯიანი (თბილისი)
2. ვახტანგ ზოიძე (ბათუმი)
3. ზვიად ჩიხჩალაძე (რუსთავი)
3. იუზა ბოლქვაძე (თბილისი)

პატარა წყლის დიდი რეკორდები

დუბლინში, 25-მეტრიან აუზში გამართულ ევროპის მოცურავეთა ჩემპიონატში, რომელშიც საკმაოდ ბევრი 41 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სამი მსოფლიოსა და ამდენივე ევროპის რეკორდი დამყარდა, ევროპის ჩემპიონატების რეკორდი კი შვიდ სახეობაში გაუმჯობესდა. გაცილებით უკეთ იასპარეზეს კაცებმა, რომლებმაც რეკორდების უმრავლესობა დამყარეს. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა სერბეთ-ჩერნიგორიის წარმომადგენელი მილორად კავიჩი, რომელმაც ვაჟთა შორის 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა (50, 02). მსოფლიოს რეკორდით აღინიშნა აგრეთვე ვაჟთა შორის 4X50 მ. კომპლექსური ცურვა, სადაც ყველას გერმანელებმა (რუპპარტი, ვარნეკე, ფრიდრიხი, დემლოვი) აჯობეს — 1.34,46.

ირლანდიის დედაქალაქის პატარა წყალში ქალთა რეკორდიც ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში აღინიშნა, სადაც ჰოლანდიელებმა (შრიოდერი, კოსტენი, გროოტი, ველდჰუისი) იმარჯვეს — 1.37,52.

ევროპის რეკორდებით გამოჩინეს თავი უნგრელმა ლასლო ჩეხმა, რუსმა იური პრილუკოვმა და ინგლისელმა იან ედმონდმა. ამათგან ჩეხმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იმარჯვა — 4.04,10, პრილუკოვმა 1500 მეტრიან დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამოიჩინა თავი — 14.31,82, რაც შარშანდელ მისსავე ევროპის რეკორდს 0,24 წამით სჯობს. რაც შეეხება ედმონდს, მან 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში იყოჩალა ევროპის რეკორდით — 2.05,63.

ევროპის ჩემპიონატების რეკორდებით გაიმარჯვეს: ჰოლანდიელმა პიტერ ვან დენ ჰუგენბანდმა (100 მ. თავისუფალი სტილი — 46,81), სლოვენიელმა მედვესეკმა (200 მ. გულაღმა — 1.52,60), ფრანგმა ფრანკ ესპოზიტომ (200 მ. ბატერფლაით — 1.51,98), ფინელმა იანი სიევინენმა (200 მ. კომპლექსური ცურვა — 1.55,40).

ქალებში ასეთივე შედეგებით გამოიჩინეს თავი გერმანელმა სარა პოვემ (50 მ. ბრასით — 30,40) და ავსტრიელმა მორნა ჯუკიჩმა (200 მ. ბრასით — 2.21,09).

გუნდურ პირველობაში საუკეთესონი იყვნენ გერმანელები, რომლებმაც 7 ოქროს, 6 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მათ მოჰყვებიან დიდი ბრიტანეთის და ნიდერლანდის გუნდები (შესაბამისად 7,6,1 და 5,1,2).

ავთანდილ ბუკვიშელი

REUTERS მონტე კარლოდან

REUTERS მონტე კარლოდან

REUTERS მონტე კარლოდან

შემოგორდა ურიკა, ყველას ჩამოურიგდა

მონტე კარლოში საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ტრადიციული გალა-დაჯილდოება გაიმართა. ჯილდოები, ცხადია, წლეულს გამორჩეულ მრბოლებსა და გუნდებს ერგოთ. აქ წარმოდგენილ ერთ-ერთ ფოტოზე თქვენ ფორმულა ერთის მეექვსედ მომგებ გერმანელ მიხაელ შუმახერს, კონსტრუქტორთა შეჯიბრში წარმატებული მისი გუნდის, „ფერარის" მენეჯერ ჟან ტოდტსა და მსოფლიო სარალო ჩემპიონატის გამარჯვებულ ნორვეგიელ პეტერ სოლბერგს ხედავთ. მეორე ფოტოზე სოლბერგი უკვე თავის მეუღლე პერნილას ეზასავება. ყეენობას ასევე თავიანთ ქალებთან ერთად დაესწრნენ ფორმულა ერთის მეორე და მესამეადგილოსნები — ფინელი კიმი რაიკონენი და კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია. თუკი ვინმეს ამ ორი მრბოლის ამოცნობა უჭირს, მაშინ ეგებ მათი ქალების აღწერით უფრო მიხვდეს, ვინ ვინ არის — კიმის გოგო, იენი დელმანი მკლავებმოტიტვლებული დგას, ხუან პაბლოს ცოლ კონის კი მკლავებს გრძელი შავი პიჯაკი უფარავს. აქვე იხილავთ ავტოსპორტის დიაღ საჭირბოროტო საქმეებზე მოსაუბრე მახვშებსაც — FIA-ს მამა მაქს მოსლისა (მარცხნივ) და ფორმულა ერთის ბოს ბერნი ეკლსტოუნს. კანადელი მრბოლი ჟაკ ვილნევი კი ამასობაში კვებეკშია და იქაურ სამთო ტრასებზე თხილამურობს — მონტე კარლოში სამისო არც განსხვავებული აღმოჩნდა და არც ჩვეულებრივი.

REUTERS მონტე კარლოდან

REUTERS მონტ ტრემბლანიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge